

„ტექნიკური უნივერსიტეტი“
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბესიკ გაფრინდაშვილი

მარიამ კერესელიძე
დაკარგული ქართველი ქალი



დამტკიცებულია მონოგრაფიად
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 29.06.2018, ოქმი №2

თბილისი
2018

წიგნი მოგვითხრობს ქართველი ემიგრანტის, მარიამ კერესელიძის ქართველებით სავსე ცხოვრებაზე. ევროპაში დაბადებულსა და გაზრდილ მარიამს დიდი სურვილი ჰქონდა სამშობლო ენახა, თუმცა სურვილი სურვილად დარჩა. განგებამ მსოფლიოს რომელ კუთხეში აღარ გადაისროლა, მაგრამ საქართველოს ხილვა კი არ აღირსა.

მარიამის შესახებ ქართულმა საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის, რადგან მასზე, ბოლო დრომდე ნაკლებად იწერებოდა. ჩვენ შევეცადეთ, მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღგვეწერა მარიამ კერესელიძის განვლილი გზა და მისი ნამოღვაწარი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოსაძიებელი და გამოსაკვლევი კიდევ ბევრია ამ უაღრესად საინტერესო ქალბატონის შესახებ, რაც იმედია სამომავლოდ განხორციელდება.

მასალების მოწოდებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო მარიამ კერესელიძის ნათესავს – ლევან გლურჯიძეს, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკს – გელა სულაძეს, ევროპაში მოღვაწე ქართველ მეცნიერს – გიორგი მამუღიას და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიის მუზეუმის მეცნიერთანამშრომელს – მარიამ მარჯანიშვილს.

რეცენზენტები: ნანა ხაზარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რუსუდან დაუშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს
საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართული
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2018

ISBN 978-9941-28-340-6 (PDF)

<http://www.gtu.ge>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

რედაქტორისაბან

2017 წლის 15 მაისს თსუ ემიგრაციის მუზეუმში დაგვპატიჟეს რეჟისორ ბესიკ გაფრინდაშვილის (სცენარის ავტორი არჩილ შუბაშვილი) მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის - „დაკარგული ქართველი ქალი“ ჩვენებაზე. ფილმის გადაღებამდე რეჟისორი ტელეფონით მესაუბრა და მარიამ კერესელიძეზე მასალები მთხოვა, თუმცა ბევრი ვერაფრით დავეხმარე.

მიუხედავად იმისა, რომ ლეო და გიორგი კერესელიძეებზე სტატიები მქონდა გამოქვეყნებული, მარიამ კერესელიძეზე კი - მარიამ მარჯანიშვილის სტატია წაკითხული, ფილმში ბევრი ეპიზოდი ჩემთვის უცნობი აღმოჩნდა, თავად ფილმი კი - საინტერესო და სევდიანი. მოგვიანებით ბესიკ გაფრინდაშვილთან შეხვედრისას აღმოვაჩინეთ, რომ ორივე საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტში ვასწავლიდით და საერთო სტუდენტები გყავდა.

გურამ შარაძის გავლენითა და ხელმძღვანელობით, 1990-იანი წლებიდან ემიგრაციის საკითხებზე ვმუშაობ და ყველა პროექტი, რაც ქართულ ემიგრაციას ეხება, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ სიამოვნებით დავთანხმდი წიგნის რედაქტორობაზე.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში ემიგრაციაში წავიდნენ მთავრობის, დამფუძნებელი კრების, სამხედრო, პოლიტიკური, საქმიანი წრეებისა და კულტურის ცნობილი წარმომადგენლები ოჯახებით. 1922-1923 წლებში მათ მიემატნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული და მეტეხის ციხიდან ემიგრაციაში გაძევებული უნივერსიტეტის 94 პროფესორ-მასწავლებელი, 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ კი - გადარჩენილი მეამბოხეები. ნაწილმა მოახერხა ოჯახების გაყვანა საზღვარგარეთ. მომდევნო წლებში, რეპრესიების გამო, საქართველოს ტოვებდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, კოლექტივიზაციით, ქონებისა და მიწების ჩამორთმევით დაზარალებული ქართველები. მათი დიდი ნაწილი საზღვარზე საიდუმლოდ გადადიოდა. ისინი ოჯახის წევრებს სამშობლოში ტოვებდნენ მომავალში მათი გაყვანის იმედით, თუმცა ეს

უმეტესობამ ვეღარ მოახერხა. ამდენად, 1924-1930 წლებში ემიგრაციაში ძირითადად მამაკაცები წავიდნენ. ამ I ტალღის ემიგრანტთა შორის ძალიან ცოტა ოჯახი იყო და კიდევ უფრო ცოტა მარტოხელა ქალები. II მსოფლიო ომის შემდეგ უცხოეთში დარჩენილმა ტყვედჩავარდნილმა საბჭოთა მეომრებმა შეადგინეს ემიგრანტთა II ტალღა, რომელიც I ტალღას შეუერთდა. ასე რომ, I და II ტალღის ემიგრანტთა შორის ქართველ ქალთა რიცხვი მცირეა. თუმცა პირველი წლების მძიმე ემიგრანტულ ყოფას ისინი მედგრად შეხვდნენ. უვლიდნენ ქმარ-შვილს, ყოველდღიური საზრუნავის, საოჯახო საქმეების შემდეგ, გვიან დამემდეგ მუშაობდნენ სახლში მოტანილ შეკვეთებზე - ქსოვდნენ, კერავდნენ და ოჯახებს ასე ეხმარებოდნენ.

I ტალღის ემიგრანტთა უმეტესობამ, მათ შორის ქალებმა, დაიტოვეს დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობა და არ მიიღეს იმ ქვეყნების ქვეშევრდომობა, რომლებშიც ცხოვრება მოუწიათ. რთული იყო ქალთა ბედი, მაგრამ ლტოლვილთა სტატუსის მიუხედავად, დაბრკოლებების გადალახვა ყველამ თავისებურად მოახერხა და საინტერესო კვალი დატოვა მსოფლიო, ქართული ემიგრაციისა თუ საქართველოს ისტორიაში.

ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ ქალთაგან ჩვენი საზოგადოებისათვის მცირე ნაწილია ცნობილი, უფრო მეტია ისეთი, რომელთა სახელი უცნობია არა თუ ჩვენთვის, არამედ ხშირად ემიგრაციის ახალი თაობისთვისაც. არადა, ისინი იმსახურებენ, რომ საზოგადოება იცნობდეს მათ ცხოვრებას. ერთ-ერთ მათგანს, მარიამ კერესელიძეს, ამ არაორდინალურ პიროვნებას, ბესიკ გაფრინდაშვილი, ფილმის გარდა, წიგნსაც უძღვნის, გვაცნობს მარიამის საოცარ ბიოგრაფიას, რთულ და წინააღმდეგობრივი გზით აღსავსე ცხოვრებას, მის სულში აღბეჭდილ, მამის მონათხრობს გადაჭდობილ ზღაპრული სამშობლოს ხატს და საქართველოს ნახვის დაუოკებელ სურვილს...

იმედია, წიგნი გულგრილს არავის დატოვებს და კიდევ ერთხელ დააფიქრებს უსამშობლო ადამიანის მძიმე ბედზე...

რუსუდან დაუშვილი

მარიამის მშობლები და ნათესავები

მარიამის მამა ლეო კერესელიძე ევროპაში ემიგრირებული ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი დაიბადა 1883 წელს მათე კერესელიძისა და მარიამ ყანჩელის ოჯახში. ლეოს მამა მათე კერესელიძე სასულიერო პირი გახლდათ. მათე საკმაოდ ერუდირებული იყო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოწინავე ქართულ საზოგადოებაში. ილია ჭავჭავაძისა და ანტონ ფურცელაძის თხოვნით მათე კერესელიძეს გარკვეული პერიოდი თბილისი დაუტოვებია, საცხოვრებლად გორში გადასულა და სათავეში ჩასდგომია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გორის ფილიალს. მათეს სახელთან არის დაკავშირებული გორის თეატრალური დასის ჩამოყალიბებაც. ბუნებით რევოლუციონერი მათე კერესელიძე, პატივს სცემდა ჯუზეპე გარიბალდის და მისი პორტრეტი საკუთარ კაბინეტში ეკიდა. ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ლეო გამბეტას საპატივცემულოდ კი თავის პირველ ვაჟს ლეო დაარქვა (მარჯანიშვილი 2014: 15). ლეო შვიდი წლის ყოფილა, როდესაც მისი მშობლები საცხოვრებლად გორიდან თბილისში დაბრუნდნენ.

მათეს და მარიამს ლეოს გარდა კიდევ ხუთი შვილი შეეძინათ: გიორგი, ელენე, ვახტანგი, იასონი და ბუდუ. ბუდუ დაბადებიდან მალევე გარდაიცვალა. იასონი ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1923 წელს. ამ დროისათვის ლეო და გიორგი უკვე ემიგრაციაში იყვნენ. პოლიტიკურად ნაკლებად აქტიური ვახტანგი საქართველოში დარჩა. ის მედიცინის სფეროში მოღვაწეობდა. ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული თბილისში (ოპერის თეატრის მახლობლად) ტუბდისპანსერიის დაარსება, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა კიდევც.



მათე კერესელიძის ოჯახი

ელენე კერესელიძე გარკვეული პერიოდი ძმებთან, ლეოსა და გიორგისთან ერთად, ევროპაში იმყოფებოდა. ის 1906 წელს ჟენევაში გამართულ სასამართლო პროცესს დაესწრო, სადაც დუშეთის ინციდენტში მონაწილე პირთა და, მათ შორის, ლეო კერესელიძის საქმე იხილებოდა (ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით). მოგვიანებით ელენე თბილისში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე საქართველოში დარჩა. სამშობლოში დაბრუნებულ ელენეს ინტენსიური მიმოწერა ჰქონდა გიორგისთან, მოგვიანებით კი - ლეოს ქალიშვილ მარიამ კერესელიძესთან. ელენე ძმისა და ძმიშვილის გამოგზავნილ წერილებს სათუთად ინახავდა. ამ წერილების ორიგინალები დღესაც ინახება ელენე კერესელიძის შვილიშვილის, ლევან გლურჯიძის ოჯახში. აღნიშნული წერილები ჩვენს წიგნში ფოტოკოპირის სახით პირველად ქვეყნდება. ამ წერილების ფრაგმენტები

გამოქვეყნებული აქვს მარიამ მარჯანიშვილს (იხ. „საქართველოს ბიბლიოთეკა“ № 4, 2014, გვ. 14-18, „ჩვენი მწერლობა“ № 2, 2015, გვ. 30-36).



და-ძმებს შორის აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით გამოირჩეოდა ლეო კერესელიძე. ის თავისი ნაშრომის - „საქართველო უწინარეს ყოვლისა“ - წანამძღვარში აღნიშნავს - „დედამ ბავშვობიდანვე, აღმოუფხვრელი სიძლიერით ჩამინერგა გულში სამშობლოსადმი სიყვარული“ (კერესელიძე 1929), ამიტომ ლეო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა შორის ყოველთვის მოწინავე რიგებში იდგა.

ლეო და გიორგი კერესელიძეები

1904 წელს 21 წლის ლეო, ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ის ევროპაში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა ქართველ ნაციონალისტთა ჯგუფს პარიზში. 1905 წელს რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა რევოლუციამ, ლეოს საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. იმ პერიოდში,



ლეო კერესელიძე
ახალგაზრდობაში

1904-1905 წლებში, რუსეთ-იაპონიის ომი მიმდინარეობდა. იაპონიის მხარემ, რუსული მონარქიის დასამხობად, რუსეთის იმპერიაში მოქმედი ეროვნულ-პოლიტიკური პარტიების დაფინანსება დაიწყო. სხვა პარტიებთან ერთად დაფინანსდა ქართული სოციალისტ-ფედერალისტური პარტიაც, რომლის ერთ-ერთი ლიდერი ევროპაში მოღვაწე გიორგი დეკანოზიშვილი იყო. ამ უკანასკნელმა მიღებული ფულით 8500 „ვეტულისის“ შაშხანა შეიძინა 1333000 ვაზნასთან ერთად და ქართველი რევოლუციონერების დასახმარებლად მისი საქართველოში შეტანა გადაწყვიტა. დეკანოზიშვილმა საქმეში ჩართო ვარლამ ჩერქეზიშვილი და ჰოლანდიელი ანარქისტი ძმები კორნელისენები. მათ შეიძინეს 597 ტონა წყალწვის გემი - „სირიუსი,“ რომელიც დატვირთეს ზემოთ ნახსენები იარაღით და საქართველოსკენ გაისტუმრეს. ამ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლეო კერესელიძე. ის საქართველოსკენ დაძრულ გემ „სირიუსზე“ იმყოფებოდა ეკიპაჟის სხვა უცხოელ წევრებთან ერთად. 1905 წლის 24 სექტემბერს „სირიუსი“ ამსტერდამიდან გავიდა. 11 ოქტომბერს გემმა მალტის დედაქალაქ ვალეტას მიაღწია. ამის შემდეგ გემის კაპიტანმა ვან ოპენმა, რუსების შიშით, გზის გაგრძელებაზე უარი თქვა და გემის მობრუნება გადაწყვიტა. ლეო კერესელიძემ ეკიპაჟის წევრების გადაბირება შეძლო და ოპენი დააპატიმრა. კაპიტნობა ოპენის თანაშემწემ გრუნდვიკმა ითავა (სიხარულიძე 2017: 5-8). ამ დროს „სირიუსის“ ეკიპაჟის წევრებს მიუვიდათ გიორგი დეკანოზიშვილის შეტყობინება, რომ გემი საფრანგეთის სანაპირო ქალაქ სეტში მიეყვანათ. 28 ოქტომბერს „სირიუსი“ სეტში გაჩერდა, 2 ნოემბერს კი - მარსელის ნავსადგურში გადაინაცვლა. რამდენიმე დღეში გემი დამატებით დატვირთეს იარაღით და არალეგალური ლიტერატურით. 6 ნოემბერს „სირიუსზე“ ავიდა ორი ახალგაზრდა ქართველი რევოლუციონერი გ. სიხარულიძე

და ვ. ნაზარიშვილი. ამ დროისათვის ლეო კერესელიძე გემზე აღარ იმყოფებოდა (სიხარულიძე 2017: 8).

6 ნოემბერს „სირიუსი“ მარსელიდან დაიძრა და 22 ნოემბერს ფოთის სანაპიროს მიადგა. გემის ეკიპაჟში იმყოფებოდა 9 ჰოლანდიელი, 4 ფრანგი და 2 ქართველი. ეკიპაჟის წევრებმა ადგილობრივი ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების დახმარებით გემიდან იარაღის ხმელეთზე გადატვირთვა დაიწყეს, თუმცა ეს ფაქტი რუსეთის ჟანდარმერიისათვის ცნობილი გახდა და გადმოტვირთული იარაღის დიდი ნაწილი მათ ხელში აღმოჩნდა. სოციალისტ-ფედერალისტებმა დანიშნულების ადგილზე მხოლოდ 1200 თოფისა და ნახევარ მილიონამდე ვაზნის მიტანა შეძლეს. რუსეთის ჟანდარმერიამ გემ „სირიუსის“ დაკავებაც სცადა, მაგრამ ეკიპაჟის წევრებმა გემზე დარჩენილი იარაღი ზღვაში გადაყარეს, მდეგრებს ხელიდან დაუსხლტნენ და რუმინეთისაკენ აიღეზ გეზი (იქვე, 78-79).

რაც შეეხება ლეო კერესელიძეს, მან საქართველოში ჩასვლა მოახერხა და აქტიურად ჩაერთო მიმდინარე რევოლუციურ პროცესებში. ლეოს იარაღით ხელში ბევრი სახიფათო დავალების შესრულება მოუხდა. მათ შორის იყო ეგრეთ წოდებული „დუშეთის საქმე“ - სახელმწიფო ხაზინის გატაცება. ჟანდარმერიამ ლეო კერესელიძეზე დევნა გააძლიერა. ის იძულებული გახდა საქართველოს გაცლოდა და ჟენევაში დაბრუნებულიყო. რუსეთის საიმპერატორო კარი ლეოს სახელმწიფო ქონების მიტაცებაში სდებდა ბრალს და შვეიცარიის მთავრობას მის გადაცემას სთხოვდა. შვეიცარიის მთავრობამ რუსეთის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ „დუშეთის საქმეზე“ სასამართლო პროცესი ჟენევაში გაიმართა. ლეოს დასაცავად ძლიერი ადვოკატი დაიქირავა შვეიცარიელმა პოლკოვნიკმა ეჟენ ლეჩუტრმა, ლეოს მომავალი მეუღლის, მარტას მამამ, რომელიც, როგორც ჩანს, ლეოს მიმართ სიმპატიით იყო

განწყობილი. სასამართლო პროცესზე ლეოსა და ამ საქმეში მონაწილე პირთა დასაცავად, სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა ბელგიელმა სამართალმცოდნემ ერნესტ ნისმაც. ჟენევის სასამართლომ „დუშეთის საქმეზე“ ბრალდებულები და, მათ შორის, ლეო კერესელიძე, უდანაშაულოდ სცნო. პროცესის დასრულების შემდეგ ლეო შვეიცარიაში დარჩა და ჟენევის უნივერსიტეტში სწავლა გააგრძელა. შემდეგ ცოდნა გაიღრმავა ბერლინისა და სორბონის უნივერსიტეტებში. დაიცვა დისერტაცია იურიდიული განხრით და მიიღო აკადემიური ხარისხი (დაუშვილი 1998: 161-162).

ლეო დაუღალავად მუშაობდა ევროპულ არქივებში და იკვლევდა დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიას. კარგად ფლობდა უცხო ენებს, მათ შორის ფრანგულს, გერმანულს, რუსულს... შექმნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, წერდა მოთხრობებსაც. მისი მოთხრობების კრებულს - „აღმოსავლური ფანტაზიები“ - წინ უძღვოდა საქართველოს მოკლე ისტორია.

ლეო სამეცნიერო მუშაობის პარალელურად აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაშიც. ის ძმასთან, გიორგისთან ერთად, პეტრე სურგულაძის თაოსნობით ჟენევაში დაარსებული „სეპარატისტთა ჯგუფის“ წევრი გახდა. ამ ჯგუფში ასევე გაწევრიანებული იყვნენ: ნესტორ მაღალაშვილი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და სხვები. იმ დროს ევროპაში პირველი მსოფლიო ომი მწიფდებოდა. გერმანია სხვა სახელმწიფოებისა და, მათ შორის, რუსეთის იმპერიის ხარჯზე, თავისი გავლენების სფეროს გაზრდას ისახავდა მიზნად. გერმანიის სახელისუფლებო წრეებში მუშავდებოდა პროექტი რუსეთის იმპერიის დასაშლელად. „სეპარატისტთა ჯგუფმა“ მიიჩნია, რომ მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში გერმანია იყო ის რეალური ძალა, რომელსაც საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვებაში დახმარების გაწევა შეეძლო.

1914 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ლეო კერესელიძე ჟენევაში გერმანიის კონსულს შეხვდა. ქართული ემიგრაციის სახელით მან კონსულს საქართველოსა და სრულიად კავკასიის რევოლუციონირებაში დახმარება სთხოვა. გერმანიის ელჩმა ბერნში, ფონ რომბერგმა, 11 აგვისტოს ამის შესახებ თავის უწყებას აცნობა (ბაქრაძე 2010: 34). სეპარატისტთა ჯგუფის წევრები ჟენევიდან ბერლინში გადავიდნენ და საქმიანობა გერმანიის დედაქალაქში განაგრძეს. ჯგუფს სახელიც შეუცვალეს და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ უწოდეს. გერმანიის სახელისუფლებო წრეებსა და დამოუკიდებლობის კომიტეტს შორის წარმოებული მოლაპარაკებების მიხედვით, თუ გერმანია ომში გაიმარჯვებდა, საქართველოს დამოუკიდებლობას მხარს დაუჭერდა. ხელშეკრულებით საქართველოს დამოუკიდებლობას, მის ისტორიულ საზღვრებში აღიარებდა გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის იმპერიაც, დამოუკიდებლობის კომიტეტს კი დახმარება უნდა გაეწია ოსმალეთისთვის რუსეთის წინააღმდეგ ომში (დაუშვილი 2014: 15). კონსტანტინოპოლი უნდა გამხდარიყო ქართველთა თავმოყრის ადგილი. 1914 წლის სექტემბრის დასაწყისში ლეო კერესელიძე კონსტანტინოპოლში ჩავიდა. გერმანიის ელჩმა ოსმალეთის იმპერიაში ბარონ ვანგენჰაიმმა ლეო ოსმალეთის სახელისუფლებო წრეებს (თალაათ და ენვერ ფაშებს) შეახვედრა (ბაქრაძე 2010: 36). ოსმალებთან მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ ლეო კერესელიძეს ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველებისგან სამხედრო ფორმირება უნდა შეექმნა, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. ამ მიზნის მისაღწევად ლეო კერესელიძე 20 000 ოქროს ფრანკით დააფინანსა საცოლემ მარტა ლეჩუტრმა (მარჯანიშვილი 2014: 15). ლეომ მოკლე დროში ჩამოაყალიბა და გაწვრთნა 70-კაციანი რაზმი, რომელიც შემდგომში ბირთვი

გახდა ტრაპიზონში დისლოცირებული 1800 - კაციანი ქართული ლეგიონისა. ლეო კერესელიძემ ლეგიონი ლაზებითა და მაჰმადიანი ქართველებით შეავსო. ამ ლეგიონმა აჭარაში რამდენიმე რეიდი განახორციელა, რითაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა რუსულ კომუნიკაციებს ბათუმის მისადგომებთან (კალანდია 2014: 79). სამხედრო ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდა ლეგიონში გაწვევრიანებული გიორგი კერესელიძე. ოსმალეთი ექვის თვალით უყურებდა გერმანია-საქართველოს დაახლოებას და ქართველ მაჰმადიანთა აქტიურობას, ამიტომ გერმანიას ქართული ლეგიონის დაშლა მოსთხოვა. ამ უკანასკნელმა თავის მოკავშირეს ანგარიში გაუწია და ლეგიონი დაშალა. ლეო კერესელიძემ ოსმალეთის ქართული ლეგიონიდან 120-კაციანი რაზმის შენარჩუნება შეძლო და რუმინეთში გადაიყვანა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აღნიშნული რაზმი სამშობლოში დაბრუნდა (დაუშვილი 1998: 164).

დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნდა ლეო კერესელიძეც და აქტიურად ჩაერთო ქართული სამხედრო ნაწილების ფორმირებაში. ეროვნულმა მთავრობამ მას გენერლის წოდება მიანიჭა. 1921 წლის საქართველო-რუსეთის თებერვალ-მარტის ბრძოლებში, ლეო კერესელიძე იარაღით ხელში იცავდა საქართველოს თავისუფლებას. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მას კვლავ ემიგრაციაში წასვლა მოუწია.

ქართული ემიგრაცია ფარ-ხმალს არ ყრიდა და საქართველოს განთავისუფლების იმედს არ კარგავდა. მათ რიგებში იყო ლეო კერესელიძეც. 1924 წლის სექტემბერში პარიზში, ერთ-ერთ სახლში, ერთმანეთს ხუთი ქართველი ემიგრანტი შეხვდა. მათ გადაწყვიტეს დაეარსებინათ ზეპარტიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის

იბრძოლებდა. ორგანიზაციას სახელად „მომავალი“ ეწოდა. ამავე წლის ბოლოს პარიზში ჩავიდა 1924 წლის აჯანყების მეთაური ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ორგანიზაცია „მომავლის“ წევრებმა ის ერთ-ერთ კრებაზე დასასწრებად მიიწვიეს. ქაქუცა კრებას ვერ დაესწრო, თუმცა კრებაზე თავისი წარმომადგენელი გაგზავნა და ორგანიზაციის წევრებს ურჩია, რომ სახელი „მომავლის“ ნაცვლად, ამ გაერთიანებისთვის „თეთრი გიორგი“ დაერქმიათ. კრებამ ქაქუცას რჩევა მიიღო და იმ დღიდან აღნიშნულ პოლიტიკურ გაერთიანებას „თეთრი გიორგი“ უწოდეს (შარაძე 1992: 28). მალე „თეთრი გიორგის“ წევრთა რაოდენობა ათამდე გაიზარდა. ესენი იყვნენ: ა. გრიგოლია, ბ. ხუნწარია, შ. ბერიძე, ნ. დგებუაძე, მ. კეცია, ბ. მღებრიშვილი, კ. სალია, ე. პატარიძე, კ. კობახიძე, დ. მხეიძე. 1925 წლის ნოემბერში „თეთრი გიორგის“ წევრებმა ორგანიზაციის ხელმძღვანელად გენერალი ლეო კერესელიძე აირჩიეს (იქვე, 29).

აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასთან ერთად ლეო პირადი ცხოვრებისთვისაც იცლიდა. იგი დაუნათესავდა შვეიცარიაში საკმაოდ შეძლებული ლეჩუტრების ოჯახს. ლეომ ცოლად შეირთო ზემოთ ხსენებული პოლკოვნიკ ეჟენ ლეჩუტრის ქალიშვილი მარტა. ლეოსა და მარტას ქორწინების ზუსტი თარიღი უცნობია. ისინი 1915-1918 წლებს შორის უნდა შეუღლებულიყვნენ. მათ შეუღლებას ვერ მოესწრო ეჟენ ლეჩუტრი, ის 1908 წელს 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეჟენს დარჩა მეუღლე როუზ ბლანჟი და ხუთი შვილი: ფერდინანდი, გუსტავი, მარტა, ჟორჟი და მარი-ლუისი.

ლეჩუტრების ოჯახი მემკვიდრე იყო 1833 წელს ანტუან ლეჩუტრის (მარტას დიდი ბაბუის) მიერ დაარსებული საათების მწარმოებელი კომპანიისა „Jaeger-Lecoultré“. ამ კომპანიის დამზადებული საათები მთელს ევროპაში იყო ცნობილი (აღნიშნული კომპანია დღესაც წარმატებით აგრძელებს საათების წარმოებას).



მარტა ლეჟუტრი

და დღემდე რჩება მის კერპად“ - წერდა გიორგი კერესელიძე თავის დას ელენეს (გ. კერესელიძე 15.07. 1959).

1921 წლის 13 ივლისს ლეოს და მარტას შვეიცარიაში ერთადერთი ქალიშვილი შეეძინათ, მას სახელად მარიამი დაარქვეს.

ლეო და მარტა გარკვეული პერიოდი (1918-1921 წლებში) საქართველოში ცხოვრობდნენ. მეუღლეზე უზომოდ შეყვარებულ მარტას ლეოს სამშობლოც შეუყვარდა და მარიამთან ხშირად იხსენებდა საქართველოში გატარებულ დღეებს. პოლიტიკურად აქტიური და მუდამ ხიფათიანი ლეო კერესელიძის მეუღლეობა იოლი არ იყო. მარტას ლეოს გვერდით არაერთი განსაცდელი და გაჭირვება დაატყდა თავს, მაგრამ ყოველივეს მოთმინებით გაუძლო და ლეოს ღირსეული მეუღლეობა გაუწია. „მარტა არაჩვეულებრივი სიღრმის ბუნებისაა, ინტეგრალურად პატიოსანი, თავდადებული სხვისათვის. ლეო იყო

მარიამის ბავშვობა და სიყმაწვილის წლები

საბჭოთა მზვერავის პავლე ჯორჯაძის ანგარიშში მარიამის დაბადების თარიღად 1922 წლის 13 ივლისია მითითებული, დაბადების ადგილად კი თურქეთი (Доклад 1945: 68). ამ ცნობას დაეყრდნო გელა სულამეც თავის ნაშრომში - „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“ (სულამე 2012: 391). ლევან გლურჯიძის არქივში ინახება ლეო და მარიამ კერესელიძეების ფოტოები. მარიამის ბავშვობის ფოტოებს ლეო კერესელიძის მინაწერები ახლავს. მათ შორის არის 1923 წლის 13 ნოემბერს ქალაქ ლოზანაში (დასავლეთ შვეიცარია) გადაღებული მარიამის ფოტო, რომელზეც, ლეო კერესელიძის მინაწერის მიხედვით, მარიამი ორი წლისა და ოთხი თვისაა. თავად მარიამი მამიდა ელენეს 1957 წლის 22 ივლისით დათარიღებულ წერილში წერს, რომ ამა წლის (1957) 13 ივლისს 36 წლის გავხდიო. აქედან გამომდინარე მარიამის დაბადების თარიღი არა 1922, არამედ 1921 წლის 13 ივლისია. რაც შეეხება დაბადების ადგილს, გადმოცემის მიხედვით მარიამი დაბადებულია შვეიცარიაში და არა თურქეთში.



მარიამი



მარიამი

შვილის შექმნიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ლეო კერესელიძე და მარტა ლეჟუტრი შვეიცარიიდან საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდნენ. მარიამმა მშობლებთან ერთად ბავშვობის გარკვეული პერიოდი პარიზში გაატარა. ლეო ერთადერთ ქალიშვილს პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა. დაატარებდა ქართველთა სათვისტომოს შეკრებებზე და გულში სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. ლეო მარიამს შთააგონებდა, რომ ის საქართველოს დედოფალი თუ არა, ქართველთა ჟანა დარკი მაინც უნდა გამხდარიყო.



მარიამი ქართული სათვისტომოს წევრებთან, პარიზი



მარიამი ქართული სათვისტომოს წევრებთან



ლეო, მარტა და მარიამი

მარიამი სამი წლის იყო როდესაც ლეოსა და მარტას მატერიალურად ძალიან გაუჭირდათ. „მშობლებმა ყველაფერი დაკარგეს“, - წერდა თავის მამიდას ელენე კერესელიძეს მარიამი, - შემდეგ რაც დედას ჰქონდა შვეიცარიაში (დანაზოგი ბ.გ.), დახარჯეს; ძალიან ბევრი ქართველი ადამიანისთვის უშველიათ, ასე რომ 1924 წელს სულ უარაფროდ ვიჯექით..... მამა მუშაობას ეძებდა პარიზში მაგრამ თითქმის არაფერს არ იგებდა და მალე ძალიან ავად გახდა. დედამ კერვის მუშაობა დაიწყო, მთელ ღამეს ათევდა რომ ლუკმა პური მოეგო. ვერ წარმოიდგენ თუ რა ავად იყო საწყალი მამა! მალარიის და წვალეების გამო სულ ნერვები აშლილი ჰქონდა და კინაღამ მოკვდა პარიზში. დედა რომ არ ყოფილიყო აუცილებლად მოკვდებოდა... დედაჩემი ნამდვილი გმირია!დაბოლოს დედის დები (საუბარია მარიამის დეიდა მარი-ლუისზე - ბ.გ.) არ დახმარებით (დახმარებოდნენ - ბ.გ.) უეჭველად შიმშილით მოკვდებოდით... 1933 წლამდე მამა ძლიერ იყო ავად... რასაც ვლებულობდით დედის ოჯახობიდან, ძლივს გვაცოცხლებდა. მერე დიდდაჩემი მოკვდა და ფული დაგვიტოვა... შემდეგ კი საჯდომი სკოლა გვქონდა და ამით წესიერად ვცხოვრობდით, მამა კარგად იყო და მეც ვასწავლიდი ხალხს,“ (წერილი №10). მარიამის წერილები იხილეთ დანართის სახით (ავტორი - ბ. გ.).

ლეოს გამოჯანმრთელებამ და მარტას ბებუის დანატოვარმა ქონებამ კერესელიძეების ოჯახი ფეხზე დააყენა. მშობლებს საშუალება გაუჩნდათ მარიამისთვის განათლება მიეცათ. ის სასწავლებლად გაგზავნეს რომში „წმინდა მარიამის“ სახელობის მონასტერში. მარიამი გამოირჩეოდა ენების ცოდნით. კარგად ფლობდა ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ და არაბულ ენებს, იცოდა ინგლისურიც. მშობლიურ ენაზე ბავშვობიდან ლაპარაკობდა, მაგრამ ქართული წერა-კითხვა სრულყოფილად 1942-1943 წლებში შეისწავლა, როდესაც ვუსტრავუს ტყვეთა ბანაკში ქარ-



ლეო, მარტა და მარიამი

თველებს დუახლოვდა. პავლე ჯორჯაძის გადმოცემით, მარიამი ქართულად უაქცენტოდ საუბრობდა, წერის დროს კი შეცდომებს უშვებდა (Доклад 1945: 69). მარიამი 1958 წლით დათარიღებულ წერილში გულისტკივილით აღნიშნავს: „14 წელიწადის უკან ქართულად ლექსებს ვწერდი, რომელიც ვმღეროდი ფანდურზე, ახლა მიკვირს და გული მტკივა, რომ სრულიად დავიწყებული მაქვს მშობლიური ენა“ (წერილი № 15).


უცხო ენების ცოდნამ მარიამი ადრეული ასაკიდანვე ჩააბა პედაგოგიურ საქმიანობაში. როგორც ჩანს, მან პედაგოგიური პრაქტიკა მშობლების მიერ დაარსებულ სკოლაში გაიარა.



მარიაში

წმინდა მარიაშის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მარიაში მშობლებთან ერთად საცხოვრებლად მაროკოში, საპორტო ქალაქ ტანჟერში გადავიდა. ლეო კერესელიძე ცდილობდა მაროკოში ტურისტული მომსახურების ბიურო გაეხსნა. ცნობილია, რომ მას იქ ჰქონდა საჯინიბო, სადაც საუკეთესო ჯიშის ცხენები ჰყავდა. ლეო ცხენოსნობით იყო გატაცებული და თავისი ქალიშვილიც

ბავშვობიდან მიაჩვია ცხენზე ჯდომას. 17 წლის მარიამმა მარო-კოში გამართულ ხუთდღიან ჯირითში მონაწილეობა და საუკეთესო მაჩვენებლით პირველი ადგილი დაიკავა. ამის შესახებ იწერებოდა ადგილობრივ პრესაში. არაბულ ნაციონალურ სამოსში გამოწყობილი მომხიბლავი მარიამის ფოტოები გამოჩნდა ფრანგულენოვან ჟურნალებშიც.



ლეო კერესელიძე



მარიამი



**მარიამის ფოტო ფრანგულენოვან
ჟურნალში**

მარიამი გატაცებული ყოფილა ჟურნალისტიკითა და სიძველეთა კვლევით. მომხიბლავმა გარეგნობამ, ერუდიციამ და სპორტულმა წარმატებებმა მარიამს სახელი გაუთქვა. ის ხშირად ექცეოდა ცნობილი ჟურნალისტებისა და ტანჟერში აკრედიტებული დიპლომატების ყურადღების ცენტრში. ყავდა ბევრი თაყვანისმცემელი, რომელთა მიმართ არც თავად იყო გულგრილი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მარიამი დაინიშნა ტანჟერში შვედეთის დესპანზე, მაგრამ მათი ქორწინება არ შედგა. შემდეგ

ცოლად გაჰყვა ერთ-ერთ მსხვილ ინგლისელ ჩინოვნიკს, რომელიც გიბრალტარში საქმიანობდა, თუმცა არც ეს კავშირი აღმოჩნდა ხანგრძლივი (სულამდე 2012: 392).

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ ქართული ემიგრაციის ნაწილს, გერმანიის დახმარებით საბჭოთა რუსეთისგან საქართველოს განთავისუფლების იმედი ჩაუსახა და ამ მიზნით ფაშისტური გერმანიის სახელისუფლებო წრებთან თანამშრომლობა გადააწყვეტინა. მათ შორის იყვნენ ლეო და მარიამ კერესელიძეებიც.

ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე, ევროპაში გააქტიურებულმა ქართული ემიგრაციის ერთმა ჯგუფმა, ცნობილი ქართველი გენერლის შალვა მაღლაკელიძის თაოსნობით, საქართველოს მონარქიის აღდგენის იდეა წამოაყენა. ეს ჯგუფი

ჟურნალ „ორნატის“ გარშემო იყო შემოკრებილი, რომელიც 1935 წელს ორგანიზაციას - „თეთრი გიორგი“ - შეუერთდა. 1936 წელს თეთრგიორგელთა მე-6 ყრილობამ, დაუსწრებლად გადააყენა ორგანიზაციის ხელმძღვანელობიდან ლეო კერესელიძე და მის ნაცვლად შალვა მაღლაკელიძე აირჩია. ლეო კერესელიძემ ეს ამბავი რომ შეიტყო, ტანჯერი სასწრაფოდ დატოვა და პარიზში ჩავიდა. მიხაკო წერეთლისა და სხვა მომხრეთა აქტიური მხარდაჭერით „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელობა დაიბრუნა და ჟურნალ „ორნატის“ წევრები ორგანიზაციიდან გარიცხა (დაუშვილი 2014: 42). „თეთრი გიორგიდან“ გარიცხულმა ორნატელებმა, შალვა მაღლაკელიძის ხელმძღვანელობით „მონარქოფაშისტური დარაზმულობა“ დააარსეს (მაღლაკელიძე 2012: 180).

ლეო კერესელიძეს განზრახული ჰქონდა ანტისაბჭოთა ორგანიზაციული ჯგუფის შექმნა საქართველოშიც. ეს მისია მან ბეჟან გიორგაძეს დააკისრა, რომელიც „თეთრი გიორგის“ წევრი იყო და 1925 წლიდან ემიგრაციაში იმყოფებოდა. დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით გიორგაძე ირანში გაემგზავრა, იქიდან საბჭოთა კავშირში გადასვლა მოახერხა, თუმცა საქართველოში შეღწევა ვეღარ შეძლო. ის 1938 წლის 15 ივლისს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დააკავეს. დაკითხვის დროს ბეჟან გიორგაძემ აღიარა, რომ ლეო კერესელიძის დავალებით საქართველოში ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ დაარსებას გეგმავდა (ს.ს.უ.ს. ფონდი № 6, საარქივო № 51241, საქმე 7249-59).

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ კონსპირაციული ჯგუფები, ქართული ემიგრაციისგან დამოუკიდებლად საქართველოში მაინც იქმნებოდა. ერთ ასეთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა საქართველოს არმიის პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაქარიას ძე ჭავჭავაძე, რომელიც 1930 წელს დახვრიტეს, მეორე - ადვოკატი ევგენი ღვალაძე - დახვრიტეს 1937 წელს. ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ მესამე ჯგუფი 1941

წელს შექმნა ლევან (იგივე მუსტაფა) შელიამ. ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ ლევან აბდუშელიშვილი, არჩილ და გიორგი წულუკიძეები, ვახტანგ ჯორჯაძე, გიორგი მაჭავარიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, თბილისში მცხოვრები ლატვიელი მხატვარი რომან სუტა და სხვები. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო საქართველოში გერმანელთა შემოჭრისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ შესახებ ინფორმაცია ჰქონდა და საბჭოთა სპეცსამსახურებს. მათ ამ ორგანიზაციის აქტივისტების დაკავება მოახერხეს. აყვანის დროს (1943 წლის 3 ნოემბერი) მოკლეს ორგანიზაციის დამაარსებელი ლევან შელია. სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა ლევან აბდუშელიშვილს, შალვა სვანიძეს და რომან სუტას. 25 წლით პატიმრობა ჭაბუა ამირეჯიბსა და პავლე ხარანაულს. ვახტანგ ჯორჯაძესა და არჩილ წულუკიძეს 15 წლით პატიმრობა. სასჯელს ვერ გადაურჩა ჭაბუა ამირეჯიბის დედა მარიამ ამირეჯიბიც, მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა (ჯავახიშვილი 2016: 130-133).

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, (1939) 1940 წელს, ლეო კერესელიძემ საბოლოოდ დატოვა ტანჟერი, გადავიდა გერმანიაში და თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა გაააქტიურა. მარიამი კი დედასთან ერთად ტანჟერში დარჩა და თანამშრომლობა დაიწყო ტანჟერსა და ესპანეთის მაროკოში მოქმედ გერმანიის დაზვერვასთან, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის ჰერმან გერინგის ბიძაშვილი ხელმძღვანელობდა. მარიამის სამსახურეობრივ მოვალეობაში შედიოდა გერმანიის დაზვერვისათვის საინტერესო პირთა გადმოხიზება და მასთან კავშირზე მყოფი აგენტების მეშვეობით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება (სულაძე 2012: 392).

მარიამს საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო დავალებების შესრულებაც უწევდა. ერთ-ერთი ასეთი დავალება გახლდათ

გიბრალტარის სრუტეში განლაგებული ინგლისური საბრძოლო ხომალდების ზუსტი კორდინატების დადგენა.



მარიამი

გიბრალტარის სრუტის პირას მჯდარი არაბულ სამოსში გამოწყობილი მარიამი ყოველდღიურად ადევნებდა თვალს ინგლისური ხომალდების გადაადგილებას და მათ შესახებ გერმანულ დაზვერვას ინფორმაციას აწვდიდა. მარიამის მონაცემებზე დაყრდნობით გერმანული ავიაცია სამი წლის მანძილზე ბომბავდა გიბრალტარს (Доклад 1945: 71). მარიამის სახელთან არის დაკავშირებული ტანჟერში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის წარმოებული საიდუმლო მოლაპარაკებების გამჟღავნებაც (იქვე). მარიამს დავალების შესრულების მომენტში გერმანული დაზვერვისგან მოქმედების სრული თავისუფლება ეძლეოდა და ისიც წარმატებით ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. მარიამს

გერმანელებმა გაწეული სამსახური დაუფასეს და დედასთან ერთად გერმანიაში გამგზავრების უფლება მისცეს. 1942 წელს მარიამი მარტასთან ერთად ბერლინში ჩავიდა.



მარიამი

იმ პერიოდში გერმანია საბჭოთა კავშირს გააფთრებით უტევდა. ფრონტზე უამრავი საბჭოთა ჯარისკაცი ვარდებოდა ტყვედ, მათ შორის მრავლად იყვნენ ქართველებიც. ქართული ემიგრაციის ნაწილმა გერმანიის სახელისუფლებო წრეებთან შეთანხმებით, ქართველი ტყვეების გადმობირება და მათგან სამხედრო ნაწილების შექმნა გადაწყვიტა. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ლეო კერესელიძე. 1943 წელს ბერლინში დაფუძნდა ქართული საკავშირო შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი

ქართველი ემიგრანტი მიხეილ კედია. შტაბის წევრები ტყვეთა ბანაკებში აგზავნიდნენ აგიტატორებს. აგიტატორები ქართველ ტყვეებს საქართველოს საბჭოთა რუსეთისაგან განთავისუფლების მიზნით, გერმანიის დროშის ქვეშ გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ. ბევრი ქართველი დაჰყვა ამ მოწოდებას და გერმანული მუნდირი ჩაიცვა, რამაც ისინი ფიზიკური განადგურებისგან იხსნა.

ლეო კერესელიძემ მარიამი ვუსტავუს ტყვეთა ბანაკში აგიტატორად მიავლინა. მარიამმა იქ ბევრი ქართველი გაიცნო და დაუმეგობრდა კიდევ. ის ამ ბანაკში ორგანიზებულ ქართული

სიმღერისა და ცეკვის გუნდში ჩაეწერა, რომელსაც პავლე მალ-რაძე ხელმძღვანელობდა. მარიამს ქართული სიმღერა და ცეკვა უბადლოდ გამოსდიოდა. გუნდი ბევრს მოგზაურობდა არა მარტო გერმანულ ქალაქებში, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებზეც.

პავლე ჯორჯაძის გადმოცემით, მარიამს მთელი ბანაკი პატივს სცემდა და აფასებდა. ის მოჩვენებითი უბრალოებით, უშუალოდ და გულკეთილობით ხიბლავდა მასებს, მის ნამდვილ ზრახვებს კი ვერავინ ხვდებოდა (Доклад 1945: 72).

მარიამს თავგადასავლებითა და ფათერაკებით სავსე ცხოვრების მანძილზე, მართლაც არაერთ მამაკაცთან ჰქონდა ურთიერთობა. მათ შორის იყვნენ ქართველებიც და არაქართველებიც. ხშირად ეს ურთიერთობები მსუბუქი ფლირტით ივარგლებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი უფრო რომანტიკულ და სერიოზულ სახეს იღებდა, მაგრამ ამ ურთიერთობებზე სხვებთან მარიამი ნაკლებად საუბრობდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო მისი რომანი ნიკო ფოჩხუასთან, რომელიც მამიდა ელენეს გაანდო.

სავარაუდოდ მარიამმა ნიკო 1942 წელს ვუსტრავუს ტყვეთა ბანაკში გაიცნო. ის მარიამზე 13 წლით უფროსი იყო. ნიკო 1908 წელს დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიზიკა-მათემატიკის განხრით და 15 წლის მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. როდესაც ფრონტზე გაიწვიეს ნიკო 33 წლის იყო და ოჯახიც შექმნილი ჰქონდა. ჩანს ის მალე ჩაუვარდა ტყვედ გერმანელებს: „ჩვენს შორის დაიბადა უმაღლესი სულიერი მეგობრობა, ერთმანეთს სულიერად ვეხმარებოდით, შორიდან, თუმცა მე იმისგნით უფრო მეტი ვისარგებლე ვინაიდან ჩემზე ჭკვიანი, კეთილი და მაღალი სულიანია... იმან მე ბევრი კარგი რამ და ცხოვრების უნარი მასწავლა და აი იმიტომ თავის დღეში არ დამავიწყდება“ - იხსენებდა მარიამი (წერილი №13).

ნიკომ, როგორც ჩანს, მარიამთან სიახლოვე გამოიყენა და გერმანელების ნდობაც მოიპოვა. მას ბანაკის დატოვება და თავისუფლად გადაადგილების უფლება მიეცა. ნიკო მიღებული ყოფილა ლეო კერესელიძის ოჯახში. მარიამი აღნიშნავდა, რომ მისი მშობლები ნიკოს მიმართ პატივისცემით იყვნენ განწყობილი. ტყვეობაში მყოფი კაცისთვის გავლენიანი ემიგრანტის ქალიშვილთან სიახლოვე ბუნებრივია სასურველი იქნებოდა, თუმცა რამდენად სერიოზული და გულწრფელი იყო ნიკოს მხრიდან მარიამისადმი გრძნობები ძნელი სათქმელია. ნიკოს და მარიამის ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდა მარიამის ბიძამ გიორგი კერესელიძემ. ის თავის დას წერდა: „მეკითხები: ვინ არის ეგ ნიკო? ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი. იქნებ მენახოს კიდეც, მაგრამ არ მახსოვს“ (პარიზი: 15.07.1959). მარიამი კი მამიდას უმტკიცებდა: „ნიკო(ს) უყვარდი მთელი გულით და სულით, მეც მიყვარდა და თუკი იღბალი სხვა ყოფილიყო, მე ამასთან გავთხოვდებოდი..... მაგრამ რას იზამ? ბედი დაწერილია“... (წერილი №17). არ არის ცნობილი რა მიზეზით გაწყდა ნიკოსა და მარიამს შორის კავშირი. ომის ბოლო წლებში ისინი ერთად აღარ იყვნენ. როგორც ირკვევა, ომის დასრულების შემდეგ ნიკომ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. გერმანელებთან ტყვედ ნამყოფს, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან „გაციმბირება“ არ ასცდებოდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ყოფილ ტყვეებს სასჯელი შეუშლუბუქეს და საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება მისცეს. სავარაუდოდ ამ დროს დაბრუნდა ნიკო თავის ოჯახში. ომის შემდეგ პერუში გადახვეწილ მარიამს, ნიკოსთან დაკავშირების სურვილი არ ასვენებდა. 1958 წელს მან თბილისში მცხოვრებ მამიდა ელენეს მოკრძალებით თხოვა ნიკოს საცხოვრებელი მისამართის დადგენა. ელენე კერესელიძემ ნათესავის დახმარებით ძმიშვილს თხოვნა შეუსრულა. გახარებულმა მარიამმა

ნიკოს წერილი მისწერა, თუმცა მისგან პასუხი არ მიუღია და გულდაწყვეტილი, მამიდას წერდა: „დიდი ხანია იმას (ნიკოს ბ. გ.) მივწერე მაგრამ პასუხი არ მიმიღია... ალბათ ცოლმა (იგულისხმება ნიკოს მეუღლე ბ. გ.) დამალა ჩემი წერილი. მე ამით კმაყოფილი ვარ, რომ ის ცოცხალია და კარგად არის; თუმცა ხშირად მიკვდება გული... რას იზამ? რომ იცოდე რა მშვენიერი, კეთილშობილი, კულტურული ადამიანია!..... მე ძალიან ბევრი ქართველი გავიცანი, მაგრამ ამისთანა უმაღლესი პიროვნება, არავინ!“ (წერილი №17).



ლეო კერესელიძე

ომის დროს მარიამი სადაზვერვო საქმიანობას აგრძელებდა. ლეო კერესელიძე მარიამის მოქმედებებს ყურადღებით აკვირდებოდა და თავის ქალიშვილს შესაბამის რჩევა-დარიგებებსაც აძლევდა. 1943 წლის 23 ნოემბერს მოკავშირეთა მიერ ბერლინის ერთ-ერთ პირველ დაბომბვას ლეო კერესელიძის სიცოცხლე შეეწირა. იმ სახლს, რომელშიც ლეო ცხოვრობდა ყუმბარა დაეცა. ლეოსთან ერთად განადგურდა მთელი მისი უნიკალური ბიბლიოთეკა და არქივი. გადარჩა მისი მხოლოდ ერთი ნაშრომი,

რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს შეეხებოდა. აღნიშნული ნაშრომის ხელნაწერი ლეომ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე გადასცა გივი კობახიძეს (დაუშვილი 1998: 170).

მარიამი იხსენებდა მამის სიზმარს, რომელიც ლეოს გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე უნახავს: „22 ნოემბერს 1943 წელს მამილომ გვითხრა რომ სიზმარში ნახა თავისი თავი თეთრად ჩაცმული და თავისი ნათესავები დედ-მამა რომლებიც მოკვდნენ, შავი ტანისამოსით, და გვითხრა „ცუდია, მალე მოვკვდებიო!“ 23-ში დაილუპა როგორც ბებია მარიამი...“ (წერილი 1).

23 წლის მარიამისათვის საყვარელი მამის დაკარგვა მძიმე დარტყმა იყო. ის დედასთან ერთად ბერლინში დარჩა და სადაზვერვო საქმიანობა დამოუკიდებლად განაგრძო.

მარიამ კეძუსელიძისა და საბჭოთა მზვერავის - პავლე ჯორჯაძის ურთიერთობა

მარიამის ცხოვრებაში საინტერესო ეპიზოდია მისი ურთიერთობა საბჭოთა მზვერავთან პავლე ჯორჯაძესთან. ამ ურთიერთობის შესახებ ჩვენთვის ცნობილია ჯორჯაძის მიერ საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის წარდგენილი ანგარიშიდან. თავად მარიამი პავლეს სახელს არსად ახსენებს და არც მასთან კავშირის შესახებ ყვება. საერთოდ მარიამი თავის წარსულზე იშვიათად და ცოტას საუბრობდა.

1942 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა სტალინგრადის ოპერაცია წარმატებით დაასრულეს, გერმანელები იძულებული გახდნენ თავიანთი ჯარები კავკასიის ფრონტიდან მოეხსნათ და უკან დახევა დაეწყოთ. კავკასიონის მისადგომებთან გერმანელებთან ერთად იბრძოდნენ ქართული სამხედრო ნაწილებიც, რომელთა მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მუდმივად ჰქონდა ინფორმაცია გერმანელთა მხარეს მებრძოლ ქართულ ფორმირებებში მიმდინარე პროცესებზე და მათში ქართველი ემიგრანტების მონაწილეობაზე, მაგრამ 1942 წლის დეკემბრიდან, როდესაც გერმანელებმა უკან დაიხიეს და ქართული სამხედრო ნაწილები პოლონეთში გადაისროლეს, ინფორმაციამ იკლო (სულაძე 2012: 381).

საბჭოთა დაზვერვამ მიზნად დაისახა გერმანიაში არსებულ ქართულ ანტისაბჭოთა ემიგრანტულ ორგანიზაციებში შეღწევა, რათა კავკასიასა და საქართველოსთან მიმართებაში გერმანიის მიზნები დაედგინა. ამისათვის შეარჩიეს ისეთი ბიოგრაფიის მქონე პირი, რომლის მიმართ ქართული ემიგრაცია ეჭვს ვერ შეიტანდა და ის ადვილად შეძლებდა მათ რიგებში დამკვიდ-

რებას. ეს პიროვნება გახლდათ პავლე ვასილის ძე ჯორჯაძე, მას სპეცსამსახურებმა ოპერატიული ფსევდონიმი - „მახოვსკი“ შეურჩიეს (სულაძე 2012:381).

პავლე ჯორჯაძე 1912 წლის 12 ივლისს დაიბადა ვლადიკავკაზში, ვასილ ჯორჯაძისა და მარიამ დარჩიას ოჯახში (ოფიციალურ საბუთებში მისი დაბადების თარიღად 1913 წელი ფიქსირდება). პავლეს დაბადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მისი მშობლები საცხოვრებლად საქართველოში დაბრუნდნენ და ვასილის მამაპაპისეულ სახლში - გრემში დაიდეს ბინა. პავლეს ჰყავდა გერმანელი ძიძა, რომელმაც მას ბავშვობიდან შეასწავლა გერმანული ენა. 1924 წელს საქართველოში ცნობილი ანტისაბჭოთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ბოლშევიკებმა აჯანყების ღია თუ ფარული მხარდამჭერი ქართული არისტოკრატიის წევრთა შევიწროება და მათი ქონების კონფისკაცია დაიწყეს. ამ წნეხში მოყვა ვასილ ჯორჯაძის ოჯახიც. მათ ჩამოართვეს კუთვნილი მიწები და სახლი გრემში. საკუთარ სახლში საცხოვრებლად დაუტოვეს მხოლოდ ერთი ოთახი. მარიამმა ბოლშევიკების შიშით 12 წლის პავლე კახეთს გაარიდა და ფარულად გაგზავნა დეიდასთან თბილისში. ამის შემდეგ პავლეს მამა ვასილ ჯორჯაძე მალე გარდაიცვალა და დაქვრივებული მარიამიც თბილისში გადაბარგდა. მარიამი იყო სოლომონ დოდაშვილის შთამომავალი (ძმის შვილიშვილი). ის ღრმად განსწავლული ქალბატონი გახლდათ. თბილისში ჩასვლისთანავე პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო და ერთერთმა პირველმა მიიღო ლენინური პრემია (მოგვიანებით ეს დამსახურება მას პავლეს გამოხსნის საქმეში წაადგა).

ნიჭიერებითა და სწავლისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა პავლე ჯორჯაძეც. მან უმაღლესი განათლება მიიღო, გახდა პროფესიით ჰიდროინჟინერი და მუშაობა დაიწყო „საქენერგოში“.

ასეთი წარმომავლობის პავლე ჯორჯაძეს, ბუნებრივია, ბოლ-
შევიკები გულზე არ ეხატებოდა. მეტიც, ის „ნაციონალ-სოცი-
ალისტების“ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში იყო გაწევრი-
ანებული და ანტიბოლშევიკურ საქმიანობას ეწეოდა. ამის გამო
1935 წელს პავლე დააპატიმრეს და სუზდალის კოლონიაში გა-
დაასახლეს. კოლონიაში პავლეს უმძიმეს პირობებში უხდებო-
და ყოფნა. მიუხედავად ამისა, მან გადასახლებაში ინგლისური
ენის შესწავლა მოახერხა.



მარიამ დარჩია და პავლე ჯორჯაძე

შვილის ბედით შეწუხებული მარიამ დარჩია მოსკოვში ჩავიდა
და დიდი გაჭირვებით საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა
სახალხო კომისართან - ნიკოლაი ეჟოვთან შესვლა მოახერხა. ამ
საქმეში მარიამს ლენინური პრემია დაეხმარა. ეჟოვმა მარიამს
მოუსმინა და პავლე ჯორჯაძის საქმით დაინტერესდა. ამის
შემდეგ, პავლეს სასჯელი შეუმსუბუქეს და მალე პატიმრობიდან

განთავისუფლეს. ეს ამბავი 1938 წლის პირველ ხანებამდე უნდა მომხდარიყო, რადგან ამავე წელს ცნობილია, რომ ეჟოვი თანამდებობიდან გადააყენეს და მისი ადგილი ლავრენტი ბერიაშვილს დაიკავა. 1940 წელს ნიკოლაი ეჟოვი დახვრიტეს.



**მარჯვნივ,
პავლე ჯორჯაძე**

პავლეს განთავისუფლება ბუნებრივია მისი მხრიდან გარკვეული ვალდებულების აღების სანაცვლოდ მოხდა. ეს ვალდებულება საბჭოთა სპეცსამსახურებთან ფარული თანამშრომლობა იყო. საბჭოთა უშიშროებას ჯორჯაძის მსგავსი ბიოგრაფიის მქონე პირები თავისი მიზნების განსახორციელებლად ჰაერით სჭირდებოდა. ოფიციალურ დოკუმენტებში პავლე ჯორჯაძის გადაბირება 1939 წლით არის დათარიღებული (სულაძე 2012: 382, Мамулия 2007: 327). არ არის გამორიცხული, რომ პავლეს გადაბირებაში ბერიას ხელიც ერია.

პავლე თბილისში დაბრუნდა და ერთი შეხედვით ცხოვრების ჩვეულ რიტმს მიჰყვა, მაგრამ იგი უკვე სპეცსამსახურების მუდმივი დაკვირვების ქვეშ იყო. როდესაც გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომი დაიწყო (1941 წ. 22 ივნისი), პავლემ რამდენჯერმე სთხოვა სამხედრო კომისარიატს, რომ მოხალისედ გაეწვიათ ფრონტზე, მაგრამ უარი მიიღო. საბჭოთა დაზვერვა პავლეს რესურსს უფრო დიდი მიზნებისთვის ინახავდა. ეს დროც დადგა. 1943 წლის ადრიან გაზაფხულზე პავლე საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გამოიძახეს და განუცხადეს, რომ მტრის ზურგში უნდა



პავლე ჯორჯაძე
„შახოვსკი“

საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარების შემთხვევაში ამბოხებას მოაწყობდნენ. ასეთი ოპერატიული ჩანაფიქრით საბჭოთა დაზვერვა ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ქართველი ემიგრანტი შემოეტყუებინა საქართველოში.

პავლეს ბევრი ნათესავი ჰყავდა ევროპაში ემიგრირებული, მათ შორის, ვასილ დიმიტრის ძე ჯორჯაძე, რომელიც საფრანგეთის არმიის ოფიცერი იყო, აგრეთვე საფრანგეთის არმიაში მომსახურე მერაბ ჯორჯაძე. ეს უკანასკნელი, სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა ესპანეთის სამოქალაქო ომში გენერალ ფრანკოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში. პავლე ჯორჯაძის ნათესავი იყო მარინა მაჩაბელიც. ერთ-ერთი პროექტის მიხედვით, რომელიც 1918 წელს საქართველოს სამეფოს აღდგენას და სამეფო ტახტზე გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის ვაჟის იოაჰიმის დასმას ისახავდა მიზნად, მარინა მაჩაბელი მომავალი საქართველოს

გადაესროლათ. პავლეს ურთულესი ამოცანის შესრულება დაავალეს. მას ფრონტის ხაზი არალეგალურად უნდა გადაეკვეთა, ჩაზარებოდა გერმანელებს და დაერწმუნებინა მოწინააღმდეგე მხარე, რომ მას, როგორც „ანტისაბჭოელს“, საქართველოს განთავისუფლების მიზნით, გერმანელთა რიგებში სურდა ბრძოლა. პავლეს გერმანელებისა და მათ მხარეს მებრძოლი ქართველი ემიგრანტებისათვის უნდა „გაენდო“, რომ თითქოს საქართველოში ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციები არსებობდნენ, რომლებიც

მეფის იოაჰიმის მეუღლედ მოიაზრებოდა. თუმცა ეს პროექტი ჩავარდა და მარინა მაჩაბელი საქართველოს დედოფლობის ნაცვლად, საქართველოში იტალიის ელჩის ფრანზონის მეუღლეობას დასჯერდა. ის 1921 წლიდან მეუღლესთან ერთად რომში გადავიდა საცხოვრებლად (Мамулия 2007: 327-328). ყოველივე ამის გათვალისწინებით, საბჭოთა სპეცსამსახურები იმედოვნებდნენ, რომ პავლე ჯორჯაძე ადვილად შეძლებდა ქართული ემიგრაციის წრეებში შეღწევასა და დამკვიდრებას.

პავლე ჯორჯაძეს სადაზვერვო საქმიანობისათვის სამი თვის მანძილზე ამზადებდნენ. 1943 წლის 9 აგვისტოს, დაახლოებით 18:00 საათზე, პავლემ საბჭოთა არმიის 690-ე პოლკის ფრონტის ხაზი გადაკვეთა, რომელიც მდინარე მიუსის ახლოს გადიოდა და მოწინააღმდეგისკენ გაემართა. ოჯახის წევრებთან საუბრის დროს პავლე იხსენებდა - როდესაც დაბნელდა და გერმანელების პოზიციებს მიუახლოვდი, ვერ შევნიშნე და ფეხი მოკლული ჯარისკაცის გვამში ჩავაბიჯე, რამაც ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა და ორიენტირი დამაკარგვინაო. ოფიციალურ ანგარიშში ის ამ დეტალის შესახებ არ წერს.

ორმაგი ცეცხლის ქვეშ მოყოლილმა პავლემ დიდი გაჭირვებით მიაღწია გერმანელთა პოზიციებამდე და გამთენიის ოთხი საათისთვის მოწინააღმდეგეს ჩაბარდა. გესტაპოს მხრიდან მრავალმხრივი დაკითხვებისა და გადამოწმების შემდეგ 1943 წლის პირველ ნოემბერს პავლე გადაიყვანეს გერმანიაში, ლამსდორფის ტყვეთა ბანაკში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ჯორჯაძემ გერმანელებს მიაწოდა „საქენერგოსთან“ დაკავშირებული ინფორმაცია, რომ თითქოს საქართველოს სამრეწველო ობიექტებს არ ჰყოფნიდა ელექტროენერგია. ეს ინფორმაცია იმდენად

კარგად გათვლილი და შენიღბული იყო, რომ გერმანელებს მის რეალობაში ეჭვი არ შეჰპარვიათ და ჯორჯადის მიმართ ნდობით განეწყვნენ (სულაძე 2012: 384). პავლე ჩარიცხეს „ესეს“-ის განსაკუთრებულ ჯგუფში, რომელიც დაკომპლექტებული იყო უწინ საბჭოთა კავშირში მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისაგან. აღნიშნულ ჯგუფში თავისი მისიის დასრულების შემდეგ, 1944 წლის აპრილში, პავლემ ბერლინში გამგზავრების ნებართვა მიიღო. მან ქართულ საკავშირო შტაბს მიაკითხა, რომელიც ლიუდენდორფ-შტრასის პირველ ნომერში მდებარეობდა და ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი გავლენიანი პირი - გივი გაბლიანი მოინახულა. გაბლიანს ჯორჯადე 1933 წელს თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში ასწავლიდა (მოგვიანებით გაბლიანმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა). გაბლიანმა პავლეს შესახებ ბევრი რამ იცოდა, მათ შორის ისიც, რომ ეს უკანასკნელი 1935-1939 წლებში ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის სასჯელს იხდიდა, ამიტომ მის მიმართ ნდობით განეწყო და ქართული ემიგრაციის ლიდერთა წრეს წარუდგინა. გაბლიანის მეშვეობით ჯორჯადე გაეცნო ქართველი შტაბის ლიდერებს - მიხეილ კედიასა და გიორგი მაღალაშვილს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ჯორჯადემ ქართულ შტაბში მაღალაშვილთან დაიწყო მუშაობა. თანდათანობით პავლე ქართველ ემიგრანტებს დაუახლოვდა და საღვერვო ინფორმაციების მოპოვებას შეუდგა, მაგრამ ჯორჯადის მთავარი პრობლემა ის იყო, რომ მეკავშირესთან კონტაქტი დაკარგა და საბჭოთა მხარეს მოპოვებული ინფორმაცია ვერ მიაწოდა.

1945 წლის იანვარში, როდესაც საბჭოთა ჯარები ბერლინს მიუახლოვდნენ, ქართულმა შტაბმა გერმანელთა თანხმობით ბერლინში მყოფი ქართველების ევაკუაცია გამოაცხადა. ქართველების პირველი ორი ნაკადი გაგზავნეს ვენის მახლობლად, ქალაქ რორბახში, ხოლო შემდეგი - 1945 წლის თებერვლის

შუა რიცხვებში - ქალაქ ზალცბურგში (სულაძე 2012: 391). ზალცბურგში მიმავალ ქართველთა შორის მოხვდა პავლე ჯორჯაძეც. სწორედ ამ მგზავრობის დროს გაიცნო მან მარიამ კერესელიძე.

მარიამის გაცნობამდე პავლემ მასზე გარკვეული ინფორმაცია მოიპოვა. მარიამს ფართო სანაცნობო წრე ჰყავდა და დიდი კავშირები ჰქონდა მაღალი რანგის პირებთან, რაც ჯორჯაძის დაინტერესებას იწვევდა, მაგრამ, გარდა ამისა, პავლე თვითონ მარიამითაც იყო მოხიბლული.



პავლე ჯორჯაძე
„შახოვსკი“



მარიამი

გაცნობის დროს მათი საუბარი შეეხო პოლიტიკას, საქართველოს წარსულსა და მომავალს. პავლემ კარგად ითამაშა ანტისაბჭოთა ემიგრანტის როლი და მარიამის მოხიბვლა შესძლო.

პავლესათვის ცნობილი იყო ლეო კერესელიძესა და სხვა ქართველ ემიგრანტ ლიდერებს შორის დაპირისპირების შესახებ, ამიტომ მარიამთან მომდევნო საუბრებში მან ოსტატურად დაიწყო ლეო კერესელიძისა და მისი ნამოღვაწარის განდიდება,

ამავდროულად გალანძღა ლეოს მოწინააღმდეგენი. ამ ხერხმა გაჭრა და მარიამი პავლეს მიმართ ნდობით განაწყო. ჯორჯაძე თავის ანგარიშში აღნიშნავს: „როდესაც ზალცბურგში ჩავედით, ჩვენ უკვე კარგი მეგობრები ვიყავით, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ მარიამმა ჩემთან თანაცხოვრება დაიწყო“ (Доклад 1945: 74).

მამის დაკარგვის შემდეგ მარტოდ დარჩენილი მარიამი თავის თანამოაზრეს, პარტნიორსა და მფარველს ეძებდა (იმ პერიოდში მას კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი ზემოთ ხსენებულ ნიკო ფოჩხუასთან), პავლე ჯორჯაძეში მან ის ძალა და პოტენციალი დაინახა, რომელიც შეიძლებოდა თავისი მიზნების განსახორციელებლად გამოეყენებინა და ამიტომ მასთან დაახლოება გადაწყვიტა.

მარიამმა, თავის წარმოსაჩენად, ჯორჯაძეს გერმანელებთან ერთად გაწეული სადაზვერვო საქმიანობის შესახებ მოუყვა. ამ უკანასკნელმა კი მარიამის მონათხრობი საბჭოთა სპეცსამსახურებთან წარდგენილ ანგარიშში შეიტანა. ამ ანგარიშიდან გახდა ცნობილი საბჭოთა მხარისათვის გერმანული ავიაციის მიერ გიბრალტარის სრუტეში ინგლისური ფლოტის დაბომბვაში მარიამის მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე ტანჟერში ამერიკელ და პორტუგალიელ დიპლომატებს შორის გასამართი მოლოპარაკების ჩაშლის თაობაზეც (ჩვენ ამ საკითხებს ზემოთ შევხებით).

პავლე აღნიშნავდა, რომ მარიამმა მას სრული ნდობა გამოუცხადა და თავისი განზრახვა გაანდო: „მარიამს ძალიან უყვარდა მამა, რომელიც მისი მეგობარიც იყო და მასწავლებელიც. ის ლანძღავდა ქართველთა კომიტეტისა და „თეთრი გიორგის“ წევრებს, მათ მამამისის იდეების დამაკნინებლად მიიჩნევდა. მარიამს არ სჯეროდა ოფიციალური ვერსიის, თითქოს ლეო კერესელიძე დაბომბვის დროს დაიღუპა და ეჭვობდა, რომ

მამამისის მკვლელობა მიხეილ კედიას ორგანიზებით მოხდა. ამბობდა: - ყველა ღონეს ვიხმარ შური ვიძიო კედიაზე - და თვალცრემლიანი მევედრებოდა დავხმარებოდი კედიას ლიკვიდაციაში“ (Доклад 1945: 74).

ძნელი სათქმელია რამდენად საფუძვლიანი იყო მარიამის ეჭვი ლეო კერესელიძის მკვლელობის ორგანიზებაში მიხეილ კედიას მონაწილეობის თაობაზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, იმ ხანად ქართული ემიგრაციის ლიდერებს შორის მწვავე დაპირისპირებებს ჰქონდა ადგილი. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თვით მიხეილ კედიასა და შალვა მალაქელიძის კონფლიქტი, გესტაპოს მიერ შალვას ვაჟის - გაიოზ მალაქელიძის დაპატიმრების გამო, რომელიც საბოლოოდ მშვიდობიანად დასრულდა.

მეორე მსოფლიო ომის წინ და მისი მსვლელობის დროს ქართველი ემიგრანტების ურთიერთქიშპობის შესახებ წერდა გასული საუკუნის 50-იან წლებში ცნობილი ქართველი ემიგრანტი ალ. მანველიშვილი: „ხშირად ბრძოლა იყო სულ არაფერზე, ისე როგორც ორი ქაჩალი წაიჩხუბნენ სავარცხლის გარშემო. ყველა, ცოტა ბევრად წამოწეულ პირს თავი ყარამანად წარმოედგინა, ხოლო თავისი ჯგუფი ერთადერთ მხსნელად საქართველოსი. და რაც ყველაზე მეტად კომიკურ-ტრალიკული იყო, ყველას უნდოდა, რომ საქართველო მარტო მისი ხელით განთავისუფლებულიყო. მას არ უნდოდა დიდების და დამსახურების გაყოფა სხვისთვის. ხოლო ამნაირად განთავისუფლებული საქართველოს ბატონიც ის იქნებოდა. საბრალო საქართველოვ!“ (შარაძე 1992: 37).

საბჭოთა კავშირის ხელისუფლება ევროპის ქვეყნებში მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს ყველა საშუალებით ებრძოდა, რათა ისინი დაესუსტებინა და მოესპო, ამიტომ ევროპაში ემიგ-

რირებული ქართველების ურთიერთდაპირისპირების საქმეში, ცხადია, საბჭოთა სპეცსამსახურების ხელი ერია. პირადი ამბიციებითა და ეგოიზმით გაჯერებული ქართული ემიგრაციის ნაწილი, იოლად ეკიდებოდა საბჭოთა დაზვერვის ინტრიგებზე. არ არის გამორიცხული ასეთ ინტრიგას წამოგებოდა ახალგაზრდა მარიამ კერესელიძეც, რომელიც ვითომდა მამის მკვლევლებზე შურისძიების წყურვილით, კედიასა და მაღალაშვილის ლიკვიდაციას გეგმავდა. თუმცა მარიამი რომ შურის მაძიებელი არ ყოფილა ეს მისი ქმედებებიდან ჩანს, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

პავლე ჯორჯაძის მტკიცებით, მარიამმა მას კედიასა და მაღალაშვილის ლიკვიდაციის გეგმა გაანდო: „მარიამის აზრით „გერმანული სიმღერა“ უკვე დამთავრებული იყო და ის შემდეგ სვლას საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ინგლის-ამერიკის ალიანსზე აკეთებდა. მაგრამ მარიამი კატეგორიული წინააღმდეგი იყო „საქართველოს საქმეები“ ემიგრანტთა ისევ იმ ჯგუფს ემართა, რომელსაც კედია და მაღალაშვილი ხელმძღვანელობდნენ. მან შემომთავაზა გეგმა კედიასა და მაღალაშვილის ლიკვიდაციისა, რომელიც სავარაუდოდ ჩრდილოეთ იტალიაში უნდა განხორციელებულიყო, ქართული ემიგრაციის დაგეგმილ ყრილობაზე. მარიამი იმედოვნებდა, რომ ამ ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად მას დაეხმარებოდნენ ქართველ ესესელთა პოლკის წევრები, რომლებთანაც ის მეგობრობდა. მარიამს აგრეთვე ჩაფიქრებული ჰქონდა დედის ნათესავების დახმარებით შვეიცარიაში გადასვლა, სადაც კავშირი უნდა დაემყარებინა ინგლის-ამერიკის მხარესთან, მათ წინაშე აპირებდა საკუთარი თავის, ჩემი და კიდევ რამდენიმე პირის წარდგენას, როგორც საქართველოს განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელების. ეს გეგმა საკმაოდ დაულაგებელი, თვითნებური

და სახიფათო იყო, მაგრამ მე იძულებული ვიყავი მარიამის ნებას დავყოლოდი და მხარდაჭერა გამომეხატა დასახული გეგმის განსახორციელებლად. თუმცა მარიამს ვაფრთხილებდი ჩემს გარეშე არ ემოქმედა და გაუაზრებელი ნაბიჯი არ გადაედგა. მარიამს ჩემი სჯეროდა და სრულ ნდობას მიცხადებდა, მე კი მისი კავშირების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება მსურდა“ (Доклад 1945: 75).

ერთ დღეს მარიამმა გადაწყვიტა იტალიელი კაპიტნის ფერდინანდო ლაფრედოს მონახულება, რომელიც მისი ძველი თაყვანისმცემელი იყო. ლაფრედოს კარგი კავშირები ჰქონდა იტალიაში, ბალკანეთის ქვეყნებსა და გერმანიაში. ზალცბურგში ის სამოკავშირეო შტაბის წარმომადგენელი და დიდი უფლებებით სარგებლობდა. მარიამი იმედოვნებდა, რომ ლაფრედო მას ინგლის-ამერიკის ალიანსის მხარესთან კავშირზე გაიყვანდა. შეხვედრაზე მარიამმა პავლე ჯორჯაძემც იახლა და იტალიელ კაპიტანს წარუდგინა როგორც მისი ნდობით აღჭურვილი პირი. ლაფრედომ მარიამს გადასცა ჩრდილოეთ იტალიაში მცხოვრები რამდენიმე პირის მისამართი, რომლებსაც შეეძლოთ მისთვის დახმარება გაეწიათ ინგლისელებთან კავშირზე გასასვლელად.

ლაფრედოსთან დაკავშირებით თავისი გეგმები დასახა პავლე ჯორჯაძემაც. მან მარიამისაგან იცოდა, რომ ლაფრედო ფარულად საბჭოური ორიენტაციისა იყო და წინააღმდეგი არ იქნებოდა თუკი იტალიაში კომუნისტური წყობილება დამყარდებოდა. ეს პავლეს იმედს აძლევდა, რომ ლაფრედოს გამოყენებით საბჭოთა მხარესთან კავშირს აღადგენდა.

ჯორჯაძემ მარიამის გადაბირებაც სცადა. იგი თავის ანგარიშში განმარტავს, რომ მარიამთან ამ თემებზე საუბარი ფრთხილად და შეფარვით დაიწყო: „თავიდან აუგად მოვიხსენიე ის ქართველი ემიგრანტები, მათ შორის მიხეილ კედიაც, რომლებიც

თითქოს ერთდროულად თანამშრომლობდნენ გერმანიის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის დაზვერვასთან. შემდეგ იმის მინიშნება ვცადე თუ რა სარგებელის ნახვა შეეძლო მათ, ვინც ინგლისისა და საბჭოთა მახარებთან ორმაგ თამაშში იყო ჩაბმული. მოულოდნელად მარიამმა გამოთქვა სურვილი, რომ ჩვენც იგივე მოგვემოქმედა და კავშირი დაგვემყარებინა საბჭოთა დაზვერვასთან. ამ საქმის განხორციელება მე დამაკისრა“ (Доклад 1945: 77).

როგორც ჩანს მარიამს ზალცბურგში ყოფნის დროს გარკვეული ეჭვი გაუჩნდა პავლეს მიმართ და მისი გადამოწმება დაიწყო, თუმცა მოქმედებდა ისე, რომ პავლეს არაფერი შეემჩნია.

1945 წლის 26 მარტს ჯორჯაძემ მარიამი დედასთან და ქართველი ემიგრანტების ჯგუფთან ერთად ჩრდილოეთ იტალიაში გააცილა, თვითონ კი მაღალაშვილის დავალებით ბერლინში დაბრუნდა. მარიამმა პავლეს შვეიცარიის საკონსულოში მისვლა და მათთვის (მარიამის, პავლეს და მარტასთვის - მარიამის დედა) დაჩქარებული წესით შვეიცარიის ვიზების მიღების საკითხის მოგვარება სთხოვა. პავლე აღნიშნავს: „ორი კვირა დამჭირდა იმისათვის, რომ მარიამის დავალება შემესრულებინა, ის (მარიამი) კმაყოფილი დარჩა და ჩვენი მეგობრობა უფრო გამყარდა“ (Доклад 1945: 78).

გერმანიის დღეები დათვლილი იყო. საბჭოთა ჯარები ბერლინს გააფთრებით უტევდნენ, პავლე ჯორჯაძე კი საბჭოთა დაზვერვასთან კონტაქტს კვლავაც ვერ ამყარებდა. მან გადაწყვიტა იტალიელი პარტიზანების საშუალებით გასულიყო საბჭოთა მხარესთან კავშირზე და ამ საქმეში ფერდინანდო ლაფრედოს გამოყენება სცადა. იმხანად რამდენიმე იტალიური პარტიზანული დაჯგუფება არსებობდა: ნაწილი ინგლის-ამერიკის ალიანსს უჭერდა მხარს, ნაწილი - პროკომუნისტური განწყობის იყო, რომლებსაც „წითელ პარტიზანებს“ ეძახდნენ.

ჯორჯაძეს სურდა ლაფრედოს მეშვეობით წითელ პარტიზანებს დაკავშირებოდა.

1945 წლის 14 აპრილს პავლე ჯორჯაძე ქალაქ ვანდენში მარიამ კერესელიძის სახელით ფერდინანდო ლაფრედოს შეხვდა და წითელ პარტიზანებთან დაკავშირებაში დახმარება სთხოვა. ლაფრედომ სიფრთხილე გამოიჩინა პავლესთან მიმართებაში, თუმცა პარტიზანების სავარაუდო ადგილსამყოფელზე მინიშნა და სარეკომენდაციო წერილიც გადასცა.

1945 წლის 17 აპრილს ქართველ ემიგრანტთა კიდევ ერთი ჯგუფი გაემართა ჩრდილოეთ იტალიისაკენ, მათ რიგებში იყო პავლე ჯორჯაძეც. ჯგუფი იტალიაში 19 აპრილს ჩავიდა და დაბანაკდა ქართველთათვის განკუთვნილ ადგილზე, ქალაქ ტოლმეცოდან 8-10 კილომეტრის დაშორებით. აქ მათ დახვდათ გერმანიიდან ევაკუირებული 150-მდე ქართველი ემიგრანტი, მათ შორის იყვნენ მარიამ კერესელიძე და მისი დედა მარტა ლეჩუტრი. პავლე ჯორჯაძე პატარა დასახლება ჩედარკიოში, იმ სახლში დაბინავდა, სადაც მარიამი და მარტა ცხოვრობდნენ.

გიორგი მაღალაშვილის განკარგულებით ჩრდილოეთ იტალიაში ქართული სათვისტომოს სამართავად შეიქმნა გამგეობა, რომლის კომენდანტად დაინიშნა პოლონეთის არმიის ყოფილი ოფიცერი მაიორი ფავლენიშვილი. პავლე ჯორჯაძეს ჩააბარეს კომუნალური, სამეურნეო და სასურსათო საკითხები (სულაძე: 395).

პავლემ ჩრდილოეთ იტალიაში ჩასვლისთანავე დაიწყო წითელი პარტიზანების მოძიება. მან ამ საქმეში ჩართო მარიამ კერესელიძე, რომელიც კარგად ფლობდა იტალიურ ენას და ადგილობრივებთან კონტაქტის დასამყარებლად დახმარებას უწევდა: „ჩემთვის ცნობილი იყო, რომ ჩვენი რაიონის სიახლოვეს მოქმედებდა ჯუზეპე გარიბალდის სახელობის წითელი პარტიზანული რაზმი. მე და მარიამმა დიდი საფრთხის მიუხედავად

მოვიარეთ ირგვლივ მთა-გორები და დასახლებული პუნქტები, მაგრამ მათ კვალს ვერსად მივაგენით. ჩრდილოეთ იტალიაში ყოფნის დროს მარიამმა შეძლო კავშირი დაემყარებინა თავის ნაცნობ „ესესის“ პოლკის ქართველ მებრძოლებთან. მათ ფრიდონ წულუკიძე მეთაურობდა. ესენი იყვნენ ბერგმანის დივიზიის ყოფილი მეომრები, რომლებმაც ჩვენი (საბჭოთა) ჯარის წინააღმდეგ ბრძოლებში მიიღეს მონაწილეობა. მარიამი თავის ნაცნობ ქართველ ესესელებს პირდებოდა, რომ ინგლისელებთან კავშირზე გაიყვანდა, რაც მათი გადარჩენის ერთადერთი გზა იყო. მარიამს ქართველ ემიგრანტთა ლიდერების ლიკვიდაციის საქმეც არ ავიწყებოდა, მეც დღენიადავ ვაქეზებდი მას, რომ ემიგრანტი ლიდერების ლიკვიდაცია მისი მეგობრების დახმარებით რაც შეიძლება მალე განეხორციელებინა, მაგრამ ქართველი მებრძოლები ამ გეგმის წინააღმდეგ წავიდნენ. მათი განმარტებით ეს ქმედება გამოიწვევდა სისხლისღვრას და მკაცრ რეპრესიებს გერმანელების მხრიდან“ (Доклад 1945: 89).

მარიამის ნაცნობი ესესელებიდან, პავლე ჯორჯაძე ფელდფებელ ვასო აბაშიძეს დაუახლოვდა. პავლე ხვდებოდა, რომ აბაშიძე წითელ პარტიზანებთან დაკავშირებას ცდილობდა, ამიტომ მასთან საერთო ენის გამონახვა შეძლო. პავლემ იცოდა, მარიამისა და ვასოს ფლირტის ამბავიც: „იტალიაში ყოფნის დროს მარიამი მე და ვასოს ერთდროულად გვეთამაშებოდა სიყვარულობანას, თუმცა ვასომ ჩემი და მარიამის ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდა. ჩემი მიზანი იყო კერესელიძე და აბაშიძე პარტიზანებთან კავშირის დასამყარებლად გამომეყენებინა. აპრილის პირველ ნახევარში პარტიზანებთან შეხვედრის შესაძლებლობა გაჩნდა. მარიამმა ცოტა არ იყოს შემინებულმა მაცნობა, რომ მეორე დღეს უნდა შეხვედროდით წითელ პარტიზანებს - კომუნისტებს. მე სიხარული ვეღარ დავმალე. მარიამი ჩემმა რეაქციამ დააბნია. მარწმუნებდა, არ შეხვედროდი მათ და

ჩემი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩამეგდო. როცა ვერაფერს გახდა მომიახლოვდა და ალერსით მკითხა: ნუთუ მართლა არ გეშინია წითლებისო? - ჩემი პასუხის შემდეგ უმაღლესი მეორე კითხვა დამისვა: - სიმართლეა, რომ შენ ბოლშევიკები არ გიყვარსო? - შევეცადე მისდამი ერთგულება დამემტკიცებინა, მაგრამ მივხვდი, რომ მარიამის გულში ჩემს მიმართ უნდობლობამ დაისადგურა“ (Доклад 1945: 90).

მეორე დილით მარიამსა და პავლეს პარტიზანებთან შეხვედრის მოლოდინში ვასო აბაშიძე შეუერთდა. მარიამი უკვე აბაშიძესაც ეჭვის თვალით უყურებდა. შეხვედრა 12 საათზე უნდა შემდგარიყო, მაგრამ 17 საათისთვის გადაიდო. ამ დროს ჯორჯაძე კომენდანტმა ფავლენიშვილმა გამოიძახა. პავლემ მარიამი გააფრთხილა, რომ დაგვიანების შემთხვევაში დალოდებოდა 15-20 წუთი და პარტიზანებთან შესახვედრად მარტო არ წასულიყო.

ჯორჯაძე სახლში 17 საათისთვის დაბრუნდა, მაგრამ იქ მხოლოდ აბაშიძე დახვდა, რომელმაც აცნობა, რომ მარიამი პავლეს არ დაელოდა და რამდენიმე წუთის წინ, პირველი შეტყობინებისთანავე წავიდა პარტიზანებთან შესახვედრად. ჯორჯაძემ მაშინვე მიაშურა იტალიელ მეზობელს, რომელიც პარტიზანებთან დაკავშირებაში ეხმარებოდა და სთხოვა იმ ადგილზე გაჰყოლოდა, სადაც დათქმული შეხვედრა უნდა შემდგარიყო: „იტალიელ მეგზურს 30-40 ნაბიჯით უკან მივყვებოდი. ჩემი სამკვირიანი მზადება წითელ პარტიზანებთან შესახვედრად წყალში მეყრებოდა და ვგრძნობდი ამას მარიამი შეგნებულად აკეთებდა. სიმწრისგან თითზე ისე ვიკბინე, რომ სისხლი დავიდინე. ამ დროს მოსახვევში მარიამი გამოჩნდა. ის შეხვედრიდან ბრუნდებოდა. ჩემი შეშლილი სახე რომ დაინახა, მკითხა: რატომ ხარ ადელზეებულიო? - მე ვუპასუხე: - ვინერვიულე რომ არ დამელოდე და მარტო წახვედი შეხვედრაზე, ამით შენი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდექო. მარიამმა ნაკბენ

თითზე მიმანიშნა და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მას ჩემი აღარ სჯეროდა“ (Доклад 1945: 92).

მარიამმა პავლეს სთხოვა გულახდილი ყოფილიყო და ღიად ეთქვა მისთვის თუ რა მიზნები ამოდრავებდა რეალურად. ეს უკანასკნელი კი კვლავ უშედეგოდ ცდილობდა მარიამის დარწმუნებას, თითქოს ანტისაბჭოთა ემიგრანტი იყო და ბოლშევიკებისგან საქართველოს განთავისუფლებისთვის იბრძოდა. რადგან მარიამი პავლეს აღარ ენდობოდა, წითელ პარტიზანებთან დაგეგმილი რამდენიმე შეხვედრა მან შეგნებულად ჩაშალა, საბოლოოდ კი პავლეს განუცხადა: მე არ მაქვს სურვილი წითელ პარტიზანებთან შეხვედრის და ამ საქმეს თავად მიხედეო (Доклад 1945: 94).

მარიამისა და პავლეს გზები თანდათან იყრებოდა. მათ „სასიყვარულო“ ურთიერთობას წერტილი ქალაქ უდინეში დაესვა. პავლე ჯორჯაძე მარიამთან დაშორების ამბავს ასე გადმოგვცემს: „მარიამმა გადაწყვიტა დედასთან ერთად ვერონაში გამგზავრება და გერმანული ფულის იტალიურ ლირებზე გადაცვალა. ის გარეგნულად სიმშვიდეს ინარჩუნებდა, თუმცა შევატყვე, რომ ღელავდა, მივხვდი, ფარულად რაღაც ჰქონდა დაგეგმილი. როდესაც ამის თაობაზე მივანიშნე, აღშფოთებულმა მითხრა: - სჯობს ჩემს საქმეებში არ ჩაერიო და თუკი რაიმე იცი ჩემი საქმიანობის შესახებ გირჩევ არ ჩაულრმავდეო. - მან განმიცხადა: ვიცი რომელი ქვეყნის დაზვერვას ეკუთვნი... მართალია ჩემი მოწინააღმდეგე ხარ, მაგრამ შენს პროფისიონალიზმს პატივს ვცემ... თუმცა ვერასოდეს გაპატიებ იმას, თუ როგორ თამაშობდი ჩემს გულწრფელ გრძნობებზე! გაფრთხილებ, გზაზე არ გადამეღობო, თორემ ცუდად დაგიმთავრდებო! - მიუხედავად ასეთი უსიამოვნო საუბრისა, ის იყო ქალი და ჩვენ როგორც მეგობრები ისე დავშორდით ერთმანეთს. შეიძლებოდა ომის დამთავრებამდე ვეღარც შევხვედროდით, ამიტომ მარიამს

გამოვართვი მისი ბიძის მისამართი შვეიცარიაში, რომელთან გამგზავრებასაც აპირებდა ომის დამთავრების შემდეგ“ (იქვე).

მარიამი დედასთან ერთად ვერონაში გაემგზავრა. უდინედან ბანაკში დაბრუნებული პავლე კი კვლავ უშედეგოდ ცდილობდა წითელ პარტიზანებთან დაკავშირებას. ჩრდილოეთ იტალიაში ქართულ სათვისტომოს ზალცბურგიდან ახალი ნაკადი შეუერთდა. მათი დიდი ნაწილი ინგლისელებთან კავშირში ხედავდა თავის გადარჩენის გზას. პავლე ჯორჯაძე თანამოაზრეების გარეშე დარჩა. მან ვერ მოახერხა სანდო პირის მოძებნა, ვინც პარტიზანებთან დაკავშირებაში დაეხმარებოდა. ამ დროს ვერონადან ქართველთა ბანაკში მოულოდნელად დაბრუნდა მარიამ კერესელიძე. მან აქტიური მზადება დაიწყო ქართველი ემიგრანტებისა და ყოფილი ტყვეების ინგლისელთა მხარეზე გადასაყვანად. ჩანდა, რომ მარიამს ვერონაში ინგლისელებთან კავშირის დამყარება მოეხერხებინა. მარიამის ქმედებებს თვალს ადევნებდა პავლე ჯორჯაძე. ის უკანასკნელად შეეცადა კერესელიძის გადაბირებას: „მე და მარიამმა ერთმანეთის შესახებ უკვე ყველაფერი ვიცოდით, ამიტომ მარტოდ დარჩენილებმა ღია საუბარი დავიწყეთ. მან ბრალი დამდო იმაში, რომ ბოლშევიკებს მივყიდე სული. დასამალი აღარაფერი მქონდა, ამიტომ შევეცადე მარიამისთვის განმემარტა მოცემულ სიტუაციაში რომელ მხარეს დგომა მოუტანდა მას მეტ სარგებელს. ვეუბნებოდი, ინგლისელები არ გაპატიებენ ტანჟერისა და გიბრალტარის საქმეებს, ამიტომ უკეთესი იქნება საბჭოთა დაზვერვასთან ითანამშრომლო, ეს გზას გაგიხსნის სამშობლოსაკენ, რომლის ნახვაც ოცნებად გაქვს ქცეული-თქო. - მან მომისმინა და მითხრა: შეიძლებოდა მეთანამშრომლა საბჭოთა დაზვერვასთან და ამით ჩემი თავის რეაბილიტაცია მომეხდინა, მაგრამ ჩემს მეგობრებს ვერ ვუღალატებ, რომლებიც ქართული ლეგიონის წევრები არიან და გერმანელებთან თანამშრომლობის გამო საბჭოელთა ხელში დიდი სასჯელი ელითო. ამ ეტაპზე მექვება მეც მაპა-

ტიონ ბოლშევიკებმა, სამომავლოდ კი შეიძლება ვიფიქრო საბჭოთა მხარესთან თანამშრომლობაზეო“ (Доклад 1945: 98).



ფაქტია, მარიამი შურისმაძიებელი არ აღმოჩნდა. მას თავის თანამებრძოლებთან რომ გაემჟღავნებინა ჯორჯაძის საბჭოთა აგენტობის ამბავი, ცხადია პავლეს საქმე ცუდად დასრულდებოდა. მაგრამ მარიამმა პავლე არ გათქვა და ფაქტობრივად სიცოცხლე შეუნარჩუნა. სამაგიერო არ მიუზღო მარიამმა არც ფრიდონ წულუკიძეს, რომელმაც ის სასიკვდილოდ გაიმეტა.

1945 წლის 29 აპრილს, გამთენიას, ინგლის-ამერიკის ალიანსის მომხრე პარტიზანთა მხარეს გადასვლის მცდელობისთვის ქართველ ესესელთა პოლკის მებრძოლებმა, რომელთაც ფრიდონ წულუკიძე ხელმძღვანელობდა, მარიამ კერესელიძე დააპატიმრეს. ეს ამბავი პავლე ჯორჯაძემ იმავე დღეს შეიტყო. მას უთხრეს, რომ ფრიდონ წულუკიძე მარიამის გესტაპოსათვის გადაცემას აპირებდა (იქვე: 99), მაგრამ როგორც ჩანს ქართველმა ესესელებმა მარიამი გერმანელებისთვის გადასაცემად არ გაიმეტეს და გაქცევა მოუწყვეს.


ამ ამბავს ელენე კერესელიძესთან გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იხსენებს თავად მარიამიც: „მე ისეთი მრავალფეროვანი და ისეთი აღელვებული ცხოვრება მქონია, თუკი კარგი სულ მუდამ მახსოვს, ცუდიც არ მავიწყდება! არ ვიცი თუ შენ გაიგებდი, რომ ომის დროს როცა პარტიზანი ვყოფილვარ ფრიდონ წულუკიძემ ჩამაბარა თავის ხელით გერმანელ „ს ს“-ებს რომ დამხვრიტონ!!! როგორმე (გრძელი ამბავია!) გადავრჩი... იტალიაში ომის შემდეგ იტალიელმა მთავრობამ მთხოვა თუ შეიძლებოდა საკონცენტრაციო ბანაკიდან ფრიდონის გაშვება და მე ვეთანხმები. ექვსი თვის შემდეგ შემთხვევით შემხვდა ფრიდონი რომში და სიხარულით მივესალმე!! შემხვდა თითქმის შიშით და მაშინ გამახსენდა, რომ ჩემი სიკვდილი უნდოდა!! დასაცინი ამბავია!!“ (წერილი № 17).

მარიამმა, როგორც მისი წერილებიდან ირკვევა ქართველ მებრძოლებთან ერთად იტალიელ პარტიზანთა მხარეს გადასვლა მანც მოახერხა და თავიც ისახელა: „ომის ბოლოს პარტიზანი ვიყავი. იტალიის მთებში წამიყვანია 800 ქართველი ბიჭი... დედას საშინელი დრო გაუტარებია. სულ მოელოდა ამბავს რომ მკვდარი ვიყო. ომის შემდეგ რაღაც ჯილდო უნდოდათ მოეცათ, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. მანდ იტალიის მთებში ქართველებს აღმერთებენ და ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ქართველების წყალობით და მარიამის წყალობით ჩვენ გადავრჩითო. თორემ რომ იტალიის პარტიზანების იმედით ყოფილიყვნენ ბევრი სისხლი დაიღვრებოდა, ვინაიდან იტალიელი პარტიზანებმა კურდღლებივით ირბინეს“. (წერილი № 4).

1945 წლის მაისის დასაწყისში ჩრდილოეთ იტალიის ქალაქები წითელმა პარტიზანებმა დაიკავეს. პავლე ჯორჯაძე პარტიზანთა ერთ-ერთი შენაერთის უფროსს შეხვდა და თავი წარუდგინა როგორც საბჭოთა მზვერავმა. პარტიზანი სიტუაციაში ვერ გაერკვა და ჯორჯაძე რამდენიმე დღით პატიმრობაში ამყოფა. არაერთი უსიამოვნო დაკითხვის შემდეგ 7 მაისს პავლე გადაიყვანეს ქალაქ უდინეში დისლოცირებულ სლოვენის სამხედრო მისიაში. შესაბამისი საბუთების მიღების შემდეგ ის გაემშურა ქალაქ გორიცეში, იუგოსლავიის არმიის მე-9 კორპუსის სამხედრო შტაბში, სადაც მას საბჭოთა მხარის წარმომადგენლები შეხვდნენ. 1945 წლის 7 ივნისს პავლე მოსკოვში ჩაფრინდა, იქიდან კი თბილისს მიაშურა (სულაძე 2012: 399). ჯორჯაძემ საბჭოთა სპეცსამსახურებს თავისი სადაზვერვო საქმიანობის შესახებ ანგარიში ჩააბარა. საბჭოთა მხარე კმაყოფილი დარჩა ჯორჯაძის საქმიანობით, თუმცა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა დაზვერვამ მასთან კონტაქტი ვერ დაამყარა და მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია „ცენტრმა“ დროულად ვერ მიიღო.



„შახოვსკის“ ანგარიში



„შახოვსკის“ ანგარიში

ქართულმა საბჭოთა სპეცსამსახურებმა პავლეს გაყვანა საზღვარგარეთ, მტრის ზურგში, წარმატებულ ღონისძიებად ჩათვალეს და მისი დამსახურება მორალურთან ერთად საკმაოდ სოლიდური მატერიალური წახალისებით გამოხატეს (იქვე).

სამშობლოში დაბრუნებულმა პავლემ თავისი პროფესიით განაგრძო მუშაობა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის ცენტრში. შექმნა ოჯახი და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა, მაგრამ გერმანიაში გატარებულმა უმძიმესმა სამმა წელიწადმა, მის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას მძიმე დაღი დაასვა. პავლე ხანგრძლივმა დეპრესიამ შეიპყრო, პრობლემები შეექმნა ჯანმრთელობის მხრივაც (აწუხებდა ხერხემალი). ოჯახის წევრებთან თავისი საქმიანობის შესახებ ნაკლებად საუბრობდა. თავისუფალ დროს ბუნებაში მარტო სეირნობა უყვარდა.



პავლე ჯორჯაძე

პავლეს მარიამთან ომის შემდეგ კავშირი აღარ ჰქონდა, თუმცა მისი დავიწყება ვერ შეძლო. 1969 წელს ნემიროვასა და გიორხელიძის ავტორობით თბილისში გამოიცა მოთხრობა - „სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია“, სადაც საბჭოთა მზვერავის პავლე ჯორჯაძის მიერ 1943-1945 წლებში გერმანიაში წარმოებული სადაზვერვო საქმიანობაა აღწერილი. საბჭოთა სპეცსამსახურებთან ფარული თანამშრომლობის გამო პავლე ჯორჯაძე პეტრე ნიჟარაძედ არის მოხსენიებული

(აღნიშნული მოთხრობა რუსულ ენაზეც გამოიცა სახელწოდებით - „Пятьсот шагов до Родины“). მოთხრობაში

ქართული ემიგრაციის ლიდერები ბუნებრივია უარყოფით კონტექსტში არიან წარმოდგენილნი, გამონაკლისია მხოლოდ მარიამ კერესელიძე. როგორც ჩანს წიგნის ავტორებთან პავლე ჯორჯაძე აღარ მოერიდა თავისი გრძნობების გამოხატვას და მარიამისადმი მისი სიმპათიები, ოფიციალური ანგარიშისგან განსხვავებით, აღნიშნულ მოთხრობაში ნათლად აისახა.

პავლე ჯორჯაძე 1992 წელს გარდაიცვალა.



პავლე ჯორჯაძე ასაკში

ომის შემდგომი წლები და მარიამის გადასახლება პერუში

ომის დასრულების შემდეგ მარიამი დედასთან ერთად იტალიაში დარჩა. როგორც ირკვევა, ის შემდეგ ესპანეთში გადავიდა და ლტოლვილის სტატუსი მიიღო. მარიამს, როგორც გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობაში მხილებულს, თვალყურს ადევნებდნენ საფრანგეთის სპეცსამსახურები, რასაც ადასტურებს საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული სამი დოკუმენტი. პირველი მათგანი დათარიღებულია 1947 წლის 21 ივლისით. მოვიყვანთ აღნიშნული დოკუმენტის ქართულ თარგმანს:

„საგანი: ექვმიტანილი უცხოელის ჩასვლა პარიზში.

...საავადმყოფოს ანტისაბჭოურ ქართულ წრეებში მიანიშნებენ წარმოშობით ქართველი ქალბატონის, მარიამ კერასილიძის (კერესელიძის ბ.გ.), რომელიც არის წარმოდგენილი როგორც გესტაპოს ყოფილი თანამშრომელი და ლტოლვილი ესპანეთში, უახლოეს მომავალში პარიზში ჩამოსვლის შესახებ, შვეიცარიის კონფედერაციის პასპორტით.

დამატებით გვატყობინებენ, რომ საბჭოთა მმართველობის მოკავშირე, ეს უცხოელი, საზღვარგარეთის საბჭოური პოლიტიკური პოლიციის მისიით ჩამოდის“ (AAP. Paris, France).

ამ დოკუმენტში საყურადღებოა ცნობა მარიამის თითქოსდა საბჭოთა მხარესთან თანამშრომლობის შესახებ, მაგრამ იმხანად მარიამის თანამშრომლობა საბჭოთა სპეცსამსახურებთან ნაკლებ სავარაუდოა და ამას პავლე ჯორჯაძის ანგარიშიც ცხადყოფს. არ არის გამორიცხული, რომ მარიამისადმი მტრულად განწყობილმა ქართველმა ემიგრანტებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს საფრანგეთის სპეცსამსახურებს. სამწუხაროდ, ასეთ

ცილისწამებებს ქართველ ემიგრანტთა შორის ხშირად ჰქონდა ადგილი.

მარიამი რომ საფრანგეთის სპეცსამსახურების მიერ იყო ძებნილი, ამას მეორე დოკუმენტიც ადასტურებს, რომელიც 1947 წლის 13 აგვისტოთი თარიღდება:

„მარიამი, წარმოშობით ქართველი, ლტოლვილად დაფიქსირებული ესპანეთში, უახლოეს მომავალში პარიზში ჩამოსვლის წინ, უცხოელი ლტოლვილების მომსახურების მისიის წარმომადგენელი(ა), (ის) ამაოდ იძებნებოდა სენის დეპარტამენტში. სახელწოდებული მარიამ კერასილიძე (კერესელიძე), ყოველი შემთხვევისთვის რჩება დაკვირვების ქვეშ, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი საერთო საცხოვრებლების სამსახურის მიერ“ (AAP. Paris, France).

ამავე შინაარსისაა 1947 წლის 6 სექტემბრით დათარიღებული მესამე დოკუმენტიც.

იმხანად მარიამს მატერიალურად ძალიან უჭირდა. ის ერთ-ერთ წერილში წერს: „ომის შემდეგ მე და დედა ისევ საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდით. ქუჩაში ვძინავდით (ვიძინებდით ბ.გ.)... ჩემმა ბიძამ (დედის მხრივ) წაგვიყვანა 1948 წელს შვეიცარიაში... უნივერსიტეტში ვსწავლობდი, თანაც ენებს ვასწავლიდი სკოლებში. მერე დავიწყე უნო-ში (?) მუშაობა მთარგმნელათ და მანდ კარგი ფული ვიგებდი“ (წერილი № 11). თუმცა მარიამს მშვიდი ცხოვრების საშუალება დიდხანს არ მიეცა. მას, როგორც ფაშისტური გერმანიის ყოფილ მზვერავს, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები მუდმივად უთვალთვალავდნენ. მან, სხვა ქართველი ემიგრანტების მსგავსად, რომლებიც ფაშისტებთან თანამშრომლობდნენ, სამხრეთ ამერიკაში გადასახლება გადაწყვიტა, (მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ფაშისტებთან თანამშრომლობაში მხი-

ლებული პირები, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ეძებდნენ თავ-შესაფარს, რადგან ამ ქვეყნებში არსებული რეჟიმები შედარებით ლოიალური იყო მათ მიმართ).

მარიამს შვეიცარიაში დარჩენას ურჩევდა ბიძამისი გიორგი კერესელიძე. ის დასწერდა კიდეც ამის თაობაზე: „მარიამის ამბავი ძალიან მაწუხებს. ვგონებ მარიამს ყველაზე მეტად მე ვუყვარდი და ყველაზე დიდი ავტორიტეტი მის თვალში მე მქონდა. ბევრი ვურჩიე: დარჩი შვეიცარიაში, გათხოვდი შვეიცარიელზე, დაამკვიდრე სალ ნიადაგზე შენი ცხოვრება მეთქი. არა გამივიდა რა. ბუნება აქვს ცოტა ავანტურისტული. კარგია სალი ავანტურა, მაგრამ, როდესაც საზღვარს და სალ ანგარიშს გადალახავ - ცუდათ მთავრდება“ (პარიზი: 15. 07. 1959).

მარიამი ბიძია გიორგის რჩევას არ დაჰყვა, დედასთან ერთად პერუში გაემგზავრა და ქალაქ ტალარადან 85 კმ-ის დაშორებით, წყნარი ოკეანეს პირას მდებარე სოფელ მანკორაში დაიდო ბინა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა მთავრობის მხრიდან, თითქოს შერბილდა ემიგრანტების მიმართ დამოკიდებულება და საბჭოთა მოქალაქეებს უცხოეთში მცხოვრებ ნათესავებთან მიმოწერის საშუალება მიეცათ. ამ პერიოდში მოახერხა თბილისში მცხოვრებმა ელენე კერესელიძემ ძმიშვილთან დაკავშირება. მარიამი, მამიდის მიერ გამოგზავნილმა წერილმა აღაფრთოვანა, მას სამშობლოსა და ნათესავების მონახულების იმედი ჩაესახა. (მარიამს მამიდა ელენე ნანახი არ ჰყავდა). მამიდა-ძმიშვილს შორის ინტენსიური მიმოწერა გაიბა. მარიამი თითქმის ყველა წერილში პირდებოდა მამიდა ელენეს, რომ აუცილებლად მოახერხებდა საქართველოში ჩასვლას და მასთან შეხვედრას. იმავდროულად უბოდიშებდა, რომ გამართული ქართულით ვერ წერდა, რადგან პერუში გადახვეწის შემდეგ ქართველებთან

ურთიერთობას მოკლებული იყო და მშობლიური ენა თანდა-
თან ავიწყდებოდა, რის გამოც ძალიან წუხდა. მოვიყვანთ რამ-
დენიმე ამონარიდს მარიამის წერილებიდან.

30. 08. 1956. „ ჩემო საყვარელო და მუდამ სანატრელო მამიდა
ელენე! როცა უიმედო ვიყავი.... აი! მივიღე შენი პასუხი. მრავალ-
ჯერ ვაკოცე დასველი ქალაღი (დასველებულ ქალაღდს ბ. გ.)
შენი ცრემლებით... მეც ბევრი ვიტირე.. დედაც წაიკითხა და
მთელი ღამე უძილოთ გაატარა; შენ ხომ იცი როგორ უყვარხარ!..
მამილო და დედა სულ შენზე ილაპარაკობდნენ და ჩემთვის,
შენ იყავი როგორც სიზმრის არსება, რომელიც ამ მსოფლიოს
არ ეკუთნება და ცხოვრობს სადმე გაშორებულ ვარსკვლავში;
ვარსკვლავი საქართველო, რომელსაც მე ვუცქერებდი ნატვრით,
დარდით... და ეხლა ვკითხულობ შენი სიტყვები, ვღებულობ
შენი თბილი ალერსი! მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ესეთი
ღრმა და თბილი სიყვარული ვიცით... იფიქრე, რომ სადმე
შორს, დაკარგული, უცხოეთში, შენით ოცნებობს დაკარგული
ქართველი ქალი, შენი ძმისშვილი, შენი მარიამ(ი)... “ (წერილები
№1, №18).

29. 09. 1956. „მე ეხლა დღიურად ვკითხულობ ქართულ წიგნებს
და ვიგონებ ქართული ენა... რა საინტერესო იქნებოდა ჩემთვის
დღევანდელ ქართული გაზეთის კითხვა... მე სულ ამ ფიქრებში
ვატარებ დრო, თუ ოდესმე შეგხვდები? მგონია რომ იქნებ ტუ-
რისტათ მაინც შევძლებ მე და დედა საქართველოში მყოფა
(ყოფნას ბ.გ.) რამოდენიმე დღე ოდესმე.... ვინ იცის ერთ ან ორ
წელიწადში იქნებ შეგხვდეთ ერთმანეთს. აქ ცხოვრება, ე.ი. საზ-
ღვარგარეთ სულ უმიზნოდ და უინტერესოდ მიმდინია.... სხვა
ჩემსავით ემიგრაციაში დაბადებული ადამიანი შეეჩვია სხვა
ქვეყანას... მე არც ერთ ერს არ ვეკუთნები საკუთრად და არც აზ-
როვნულად, მე ეს მხოლოდ მიზიდავს და მაინტერესებს დღე-
ვანდელი ქართველები. ის ხალხი მაინტერესებს ვისაც მანდ

ცხოვრობს, ამ ხალხს ვეკუთნები, მე ეს ვგრძნობ და ვიცი. მე არ მაინტერესებს ფული, სიმდიდრე, დროის გატარება, რომელიც უდიდეს მიზნად დაუდგება თვალის წინ ბევრ ხალხს. მე მინდა შინაარსიანი ცხოვრება, და რაც უნდა აქ მოვახერხო ან გავაკეთო მაინც უშინაარსოდ დარჩება, რადგან ეგ ჩემი ხალხი არ არის და მაგ-ნებისთვის მე მუდამ უცხო ვიქნები. თუკი საქართველოში ვიქნებოდი რაც უნდა უბრალო მუშაობა რომ მექნეს, მაგალითად გზის გაკეთება, ეს მაინც რაღაცა შრომა იქნება საქართველოსთვის და ის პატარა ქვა ჩემი ხელით დამწყობილი დარჩება“ (წერილი № 3).



მარიამის სახლი, მანკორა

13. 12. 1956. „ ჩვენ მანკორაში ვცხოვრობთ, ტალარადან 85 კილომეტრის მოშორებით.... არ გვიჭირს, პირადი სახლი გვაქვს და თავს არაფრით არ ვაკლებთ. მაგრამ არ გეგონოს რომ არ ვიცი რა არის გაჭირვება! რამოდენიმე კარგი მეგობრები გვყავს ასე, რაც უნდა მოხდეს უპატრონოდ ვერ დავჩებით. აქაური ხალხი მეტისმეტად უბრალოა, თან ზარმაცი და ლოთი. ძალიან ღარიბად ცხოვრობს, მაგრამ მაინც ზღვის პირზე ცხოვრება

უფრო ადვილია, არა სცივა და მთელი წელიწადი შეუძლია კაცს გარეთ დაიძინოს და ერთი თევზი მუდამ იშოვება საჭმელათ. მთაში კი ინდიანები ცოდლა. დიდ სიღარიბეში ცხოვრობს და როცა ზამთარში არა სწმის, ხალხი შიმშილით იხოცება და საერთოდ თავის დღეში კვება არა ჰყოფნის ასე რომ ხალხი იძულებულია კოკაინის ფოთოლი შეჭამო(ს) რომ სისუსტით არ წაიქცე(ს) მუშაობის დროს....

გთხოვ მომწერო ჩემო ძვირფასო, ველი მოუთმენლად შენი ბარათი. გისურვებ ბედნიერებას და ჯანმრთელობას.... მე და დედა მრავალჯერ გაკოცებთ. შენი მოყვარე ძმისშვილი მარიამ(ი)....“ (წერილი № 6).



მარიამი, მანკორა

მარიამმა პერუში კომერციული საქმიანობის წამოწყება რამდენ-
ჯერმესცადა. პირველად თავისი პერუელი მეგობრისგან თევზსა-
ჭერი გემი იქირავა და მეთევზეობას მიჰყო ხელი. მარიამი სიძ-
ნელებს არ უშინდებოდა და დაქირავებულ მეთევზეებთან
ერთად, თვითონაც გადიოდა ზღვაში თევზის დასაჭერად.
მაგრამ ამ საქმიდან სარგებლის ნაცვლად დიდი ზარალი ნახა.
ერთ დღეს, ზღვაში სათევზაოდ გასული მისი გემი, შტორმში
მოყვა და ჩაიძირა. ამის შესახებ მამიდა ელენეს წერდა: „გემი
დაიღუპა და სუყველაფერი დაგვარგე, საბედნიეროდ არავინ
დაიკარგა (დაზარალდა ბ. გ.) და ეს მთავარია“ (წერილი № 9).
მარიამს ფარ-ხმალი არ დაუყრია და ახალი საქმის წამოწყება
გადაწყვიტა: „მატერიალურად ცუდი დრო გავატარეთ ბოლო
დრო, მაგრამ ეხლა არაფერი არ გვაკლია.... იმედი მაქვს ახალი
საქმე გავაკეთო, თუმცა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. პატარა ხე-
ტყის ქარხანა მინდა მოვაწყო. ნაცნობებმა მანქანები მაძლევენ,
ეს პირველი ნაბიჯია, მერე ბანკიდან ფული უნდა მოვახერხო
სესხად, ცოტა ძნელია. ხე-ტყის მუშაობა ჩემთვის ახალი საქმეა,
მაგრამ იმედია მაინც გამოვა. თამარი (პარიზში მცხოვრები კერე-
სელიძეების ოჯახის ნათესავი ბ. გ.) გულმოსულია ჩემზე: „რათა
მუშაობ მამაკაცურ და მაგარი მუშაობაზეო? შენი ადგილი ხომ
უნივერსიტეტშიაო!“ მე დიდი ქალაქის ცხოვრება არ მომწონს,
არც დედას. გვიყვარს ბუნება და მარტოობა“ (წერილი № 9).

მარიამმა ვერც მეორე საქმიდან ნახა ხეირი. დიდი ვალები
დაედო და ბანკმა მანკორაში არსებული სახლი გაუყიდა. ამის
შემდეგ დედა-შვილი იძულებული გახდა ლიმაში (პერუს დედა-
ქალაქი) გადაბარგებულიყო. მათ ერთ-ერთ საერთო საცხოვ-
რებელში დაიდეს ბინა. მარიამი ბუნებით ოპტიმისტი იყო და
სასოწარკვეთილებას არასდროს ეძლეოდა. ის მამიდა ელენეს
პირდებოდა, რომ ეკონომიკურად მალე გაიმართებოდა წელში:
„ნუ იდარდებ ჩემი გულისათვის... შენ ხომ იცი რომ გონიერად



მარიამ და მარტა

მამაკაცი ვარ! ორ კვირაში ვიწყებ პატარა ხმიადის ფაბრიკას. ჩემთან ერთად ძალიან კარგი ბელგიელი მეგობარი ქალი მყავს ის არის რომელიც იცის ხმიადის შესახებ, მე კი სამზარეულოში არაფერს არ ვარგივარ!! მგონია რომ კარგი საქმე იქნება. აქ უნივერსიტეტში მთხოვეს რომ ფრანგული ენა ვასწავლო, მაგრამ ჯამაგირი ისეთი პატარაა, რომ მართლა არ მაინტერესებს“ (წერილი № 15). მარიამს არც ამჯერად გაუმართლდა იმედებში. იძულებული გახდა კომერციულ საქმიანობაზე ხელი აეღო და ლიმას უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობას შესდგომოდა. ის უცხო ენებს ასწავლიდა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, მარიამი პოლიგლოტი იყო. ფლობდა გერმანულ, იტალიურ, ფრანგულ, ესპანურ და არაბულ ენებს. პერუში ყოფნის დროს შეისწავლა ადგილობრივ ინდიელთა ენა - კეჩუა.

მარიამი, გარკვეული მიზეზების გამო სამხრეთ ამერიკაში ემიგრირებულ ქართველებთან ურთიერთობას ერიდებოდა. მას საშუალება არ მიეცა 1958 წელს პერუში გასტროლებზე ჩასული ქართული საბალეტო დასის კონცერტებს დასწრებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ ამბავში მისდამი მტრულად განწყობილი ქართული ემიგრაციის ან საბჭოთა სპეცსამსახურების ხელი ერია. ამის შესახებ მამიდას გულისტკივილით წერდა: „ქართული ბალეტი აქ ყოფილა ერთი კვირა, მაგრამ ჩემთვის შეუძლებელი იყო მაგნებთან შეხვედრა. გული მიკვდებოდა და ძალიან ბევრი ვიტირე“ (წერილი № 17).

მარიამი მამის მსგავსად, სამწერლობო ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მის მიერ ესპანურ ენაზე დაწერილი პიესა (სათაური უცნობია), 1959 წელს ლიმას თეატრში დაიდგა. პერუს პრესა იუწყებოდა, რომ აღნიშნული პიესის ავტორი ქართველი ქალბატონი გახლდათ და მოხსენიებული იყო ფსევდონიმით - „ლეო კერელი“. მარიამის ფსევდონიმიდან ნათლად ჩანს თუ რამხელა პატივისცემა ჰქონდა მას მამის - ლეო კერესელიძის მიმართ.

მარიამის მეორე პიესა „მაიტა,“ მე-20 საუკუნის 50-იანი წლების პერუში მცხოვრები აბორიგენების (ინდიელების) მძიმე ყოფას ასახავდა და ნამდვილ ამბავზე იყო აგებული. მოგვითხრობდა კაპიტალისტების მიერ მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენების ჩაგვრაზე. ამიტომ მარიამს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირის თეატრებისთვის „მაიტა“ მისაღები იქნებოდა. მან პიესის ერთი ეგზემპლარი ფოსტით მამიდას თბილისში გაუგზავნა და სთხოვა, რომ დახმარებოდა „მაიტას“ საქართველოში პოპულარიზაციისათვის: „... მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი პიესა (დრამა) „მაიტა“ მიიღებენ თბილისში და მოსკოვშიც. ეს იქნება დიდი საშუალება, რადგან თუ დაადგებენ (დადგავენ ბ.გ.) იმედია დამპატიჟებენ, დედიტ, რომ ვიმგზავრო მანდ. ძალიან გეხვეწები გენაცვალე, ყველაფერი გააკეთე,

რომ მიიღონ „მაიტა,“ დარწმუნებული ვარ „მაიტა“ გზა(ს) გაგვეხსნება (გაგვიხსნის ბ.გ.) შეხვედრის!!მე მგონი რომ „მაიტა“ მშვენიერი კინოსურათიც იქნებოდა. ოხ! ყველაფერი ეცადე გენაცვალე!!“ (წერილი № 19).

ელენე კერესელიძემ მარიამის მიერ გამოგზავნილი პიესა სათარგმნად თავის ახლობელ ქალბატონს გადასცა, მაგრამ „მაიტა“ არა თუ ითარგმნა არამედ დაიკარგა. არსებობს ვარაუდი, რომ ეს პიესა ხელში ჩაუვარდა საბჭოთა უშიშროებას და განადგურდა.

პერუში ყოფნის დროს მარიამს პოლიტიკური მსოფლმხედველობა შეეცვალა. ის ოპოზიციაში ჩაუდგა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილ ადგილობრივ რეჟიმს. ამის გამო, როგორც თავად აღნიშნავს, ამერიკელებმა ცუდი თვალით დაუწყეს ყურება. მარიამი ჩაება პერუს კომუნისტურ მოძრაობაში. მას სიმპათიები გაუჩნდა კუბელი რევოლუციონერის ფიდელ კასტროს მიმართ. თავისი პოლიტიკური შეხედულებები მარიამმა მამიდა ელენეს ერთ-ერთ წერილში გაანდო: „.... შენ არ წარმოიდგენ თუ რა საზიზღარი ხალხი(ა) და როგორ მეჯავრებიან! (საუბრობს ამერიკელებზე ბ.გ.) რას უპირებდნენ ფიდელ კასტროს! ეგ ფიდელ კასტრო დიდებული პიროვნებაა და აქ დაჩაგრული ხალხი მას აღმერთებენ, და რომ საბჭოთა კავშირი არ დახმარებიათ, უკვე მკვდარი იყო კასტრო და მთელი კუბა სხვა საზიზღარი ბატისტის ხელში ჩავარდებოდა ამერიკელების დახმარებით.... აქ ინდიელები მხეცებივით ცხოვრობს და შიმშილით კვდება! აქ აუცილებლად რამე უნდა მოხდეს(ს) და მეორე ფიდელ კასტრო უნდა გამოჩნდეს. მე ამით ვსარგებლობ, რომ უცენზუროთ მოდის ეხლა ჩემი წერილი, რომ თავისუფლად მოგწერო ამ ამბების შესახებ“ (წერილი № 20). მარიამი თბილისში გასაგზავნ წერილებს დაზღვევის მიზნით ჯერ საფრანგეთში აგზავნიდა ნათესავთან და შემდეგ საფრანგეთიდან

იგზავნებოდა საქართველოში. პერუდან ევროპაში გაგზავნილ წერილებს აშშ-ს სპეცსამსახურები ნაკლებად ამოწმებდნენ განსხვავებით საბჭოთა კავშირში გაგზავნილი წერილებისაგან. ეს მარიამმა კარგად იცოდა და ამიტომ მიმართავდა აღნიშნულ ხერხს. მაგრამ ამერიკის ცენზურას გადარჩენილი მარიამის წერილები თბილისში, ადრესატთან მისვლამდე, საბჭოთა უშიშროების ხელში ხვდებოდა. სადზვერვო საქმიანობაში გამოწრთობილი მარიამი ბუნებრივია ხვდებოდა, რომ მის წერილებს საბჭოთა უშიშროება ამოწმებდა. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მარიამი შეგნებულად აფიქსირებდა წერილებში თავის სიმპათიებს ფიდელ კასტროსა და საბჭოთა კავშირის მიმართ, რათა საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის მის პოლიტიკურ ორიენტაციაზე მიენიშნებინა. მიზანი გასაგებია, მარიამს სამშობლოს მონახულება სურდა და ამისათვის ყველა საშუალებას ეძებდა.

პოლიტიკური აქტიურობის გამო მარიამს პერუში ბევრი მტერი გაუჩნდა. მათ შორის ადგილობრივი ინდიელი ცეზარ ორტეგა ფლორესი, რომელიც პროფესიით ექიმი იყო და ამავედროულად დეპუტატიც გახლდათ. მარიამის გადმოცემით, თავდაპირველად ორტეგა მისი მეგობარი ყოფილა და მარიამისთვის ხელიც უთხოვია, მაგრამ უარის მიღების შემდეგ მტრად გადაჰკიდებია. ორტეგას მარიამი ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაუბეზლებია, რომ ის მოსკოვის (საბჭოთა ბ. გ) აგენტი და რევოლუციის საშიში კონსპირატორიაო: „შენ წარმოიდგინე თუ რა საშიში საქმე იყო ჩემთვის ეს ამბავი, რომ დამაბეზლა ამნაირათ!!!“ - წერდა ელენე კერესელიძეს მარიამი. მისი მტკიცებით ორტეგას გარკვეული თანხაც გადაუხდია პოლიციის უფროსისთვის, რომ მარიამი და მარტა ლეჩუტრი 24 საათის განმავლობაში ლიმადან გაესახლებინათ. მაგრამ მარიამს მეგობრებმა მფარველობა აღმოუჩინეს და პერუს სახელისუფლო

წრეები მის უდანაშაულობაში დაარწმუნეს. მიუხედავად ამისა, დედა-შვილზე ერთი თვის განმავლობაში გაძლიერებული თვალთვალი ხორციელდებოდა. მეგობრების დახმარებით მარიამმა პერუს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრაც მოახერხა. მინისტრმა განუცხადა, რომ შენს უდანაშაულობაში შენმა მეგობრებმა დამარწმუნეს და ორტეგასაც ვუბრძანე ცრუ ცილისწამებას შეეშვიო, მაგრამ მის მიმართ სიფრთხილე გამოიჩინე, რადგან ხვალ მე შეიძლება მინისტრი აღარ ვიყო, ორტეგა კი არ დაგავიწყდეს, რომ დეპუტატიაო (წერილი № 20).

ძნელი სათქმელია ამ შემთხვევაში ვის მხარეს იდგა სიმართლე. ცუხარ ორტეგა ფლორესმა, მარიამისგან განსხვავებით არათუ საბჭოთა კავშირში, უშუალოდ საქართველოში ჩასვლაც კი მოახერხა. საკითხავია ვინ იყო საბჭოთა აგენტი, მარიამი თუ ორტეგა?

ინგლის-ამერიკის ალიანსის მსგავსად საბჭოთა მთავრობისათვისაც მარიამი მიუღებელი აღმოჩნდა. მას ვერ დაუვიწყეს ფაშისტებთან თანამშრომლობა, გიბრალტარისა და ტანჟერის საქმეები. საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის ბოლომდე გარკვეული არ იყო, რა თამაშს თამაშობდა მარიამი, ამიტომ მას უნდობლობას უცხადებდნენ. გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ელენე კერესელიძეს საბჭოთა უშიშროებამ ძმიშვილთან წერილების მიწერაც აუკრძალა. მიუხედავად ამისა, მარიამი დიდი ხნის განმავლობაში მაინც აგზავნიდა მამიდასთან წერილებს, მისგან კი პასუხს ვეღარ იღებდა. უკანასკნელი წერილი (მისალოცი ბარათი) მარიამმა მამიდას 1972 წელს გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა, რომ ლიმას უნივერსიტეტში ხუთწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ კულტურულ საქმიანობაში ჩავებო. იმავე 1972 წელს ელენე კერესელიძე გარდაიცვალა და მარიამმა საქართველოში წერილების გაგზავნა შეწყვიტა.



ელენე კერესელიძე

მარიამის ცხოვრების უპანასკნელი წლები და მისი ანდერძი

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მარიამის მოღვაწეობის შესახებ, სამწუხაროდ, ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამ პერიოდში ის პერუს კომუნისტური პარტიის მაოისტური ფრთის წევრი გახლდათ. თუმცა 1964 წელს პარტიის რიგები დატოვა, რადგან ამ ორგანიზაციის შიგნით მმართველობის სადავეები ვერ აიღო მაოისტურმა ფრთამ. მარიამი ვერ ურიგდებოდა პარტიის ზედმეტ ბიუროკრატიზაციასა და მოსკოვიდან წამოსული ბრძანებების უსიტყვოდ მორჩილებას. მისი აზრით ეს ფაქტორი პერუში რევოლუციის მოწყობას ხელს უშლიდა.

პარტიის დატოვების შემდეგ მარიამმა პერუს სამხრეთით, ერთ-ერთი საპორტო ქალაქის სასწავლებელში, საზღვაო ბიოლოგიის ფაკულტეტზე, ინგლისური ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მან იმავდროულად ჩამოაყალიბა სახალხო უნივერსიტეტის კულტურული გაფართოების სამხასხური, სადაც ფარულად ისწავლებოდა მარქსიზმი. მარიამი აწყობდა კონფერენციებს სხვადასხვა თემაზე. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაზე გაიცნო მან თავისი მომავალი მეუღლე, ახალგაზრდა პერუელი კომუნისტი მანუელ ჰერერა ასპაუზა (მანუელი მარიამზე ოცი წლით ახალგაზრდა იყო), რომელსაც მარიამი თავდავიწყებით შეუყვარდა.



მარიამ კერესელიძე და მანუელ ჰერერა

მარიამმა მანუელზე დაქორწინება გადაწყვიტა. მათ წლების განმავლობაში პერუში მიმდინარე არაერთ პოლიტიკურ პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ამ საქმიანობაში ისინი რჩევა-დარიგებებს იღებდნენ მარიამის დედის მარტა ლეჩუტრისგან. მანუელი ერთ-ერთ წერილში პატივისცემით იხსენიებს მარტას და აღნიშნავს, რომ: „მარტა არა მარტო მარიამის არამედ ჩემი დედაც იყო და ჩვენ სამივე ერთად ვცხოვრობდით“. 1975 წელს მარტა ლეჩუტრი გარდაიცვალა.



მარტა ლეჩუტრი

დედის გარდაცვალების შემდეგ მარიამს კიდევ ერთხელ მოუწია დევნილობა. პერუს ხელისუფლებამ კომუნისტების მიმართ მკაცრი რეპრესიები დაიწყო. მარიამი და მანუელი იძულებული გახდნენ პერუ დაეტოვებინათ და საფრანგეთში გადასულიყვნენ. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მარიამმა პარიზში გაატარა. გადმოცემით, ის საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოდან მიმოსვლა ყველასთვის შესაძლებელი გახდა, მარიამთან დაკავშირება სცადა ელენე კერესელიძის შვილიშვილმა ლევან გლურჯიძემ, რომელსაც მარიამის გაცნობის დიდი სურვილი ჰქონდა.

50-იან წლებში მარიამი პატარა ლეოს (ლევანს) უშუალოდ უზრუნველყოფდა და პირდებოდა, რომ აუცილებლად ნახავდა. ბევრი ცდის მიუხედავად ლევან გლურჯიძემ საფრანგეთში მარიამის კვალს ვერ მიაგნო (სავარაუდოდ მარიამი გარკვეული მიზეზების გამო პარიზში ჰერერას გვართ მოღვაწეობდა).

მარიამ კერესელიძით საფრანგეთის სპეცსამსახურები ჯერ კიდევ 40-იანი წლებიდან იყვნენ დაინტერესებული და მასზე თვალთვალს ახორციელებდნენ (ამ საკითხზე წინა თავში გვეყონდა საუბარი).

მარიამს სამშობლოს ნახვის სურვილი ოცნებად დარჩა. ის 2002 წელს 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. თავის მეუღლეს ანდერძად დაუტოვა, რომ მისი ფერფლი საქართველოში წაეღო და გორში კერესელიძეების საგვარეულო სასაფლაოზე დაეკრძალა. მანუელ ჰერერამ მეუღლის ანდერძი 11 წლის შემდეგ შეასრულა.



მარიამი

ჰერერა საქართველოში 2013 წელს ჩამოვიდა. მან მაშინვე ქალაქ გორს მიაშურა და კერესელიძეების საგვარეულო სასაფლაოს ძებნა დაიწყო, თუმცა უშედეგოდ. უცნობ ქვეყანაში მეგზურის გარეშე ჩამოსულმა პერუელმა მოხუცმა მაშინ გადაწყვიტა, რომ საყვარელი მეუღლის ფერფლი სტალინის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე დაეკრძალა. ჰერერას ვიზიტის შესახებ არაფერი იცოდა ლევან გლურჯიძემ, წინააღმდეგ შემთხვევაში

საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა და მარიამის ფერფლი ღირსეულად დაიკრძალებოდა წინაპართა საფლავზე.

გორიდან თბილისში დაბრუნებულმა ჰერერამ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას მიაკითხა. მან ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას მარიამის რამდენიმე საბუთი და კუთვნილი სამკაული (ბეჭედი) გადასცა. თან დასძინა, რომ ბევრი ვერაფერი ჩამოვიტანე, რადგან პერუდან ტერორს გამოვექეციით და რაც გაგვაჩნდა ყველაფერი ლიმაში დვტოვეეთო. ამის შემდეგ ჰერერა საფრანგეთში დაბრუნდა.



Nom - Nome - Name **Mile M. KERESSELIDZE**

Qualité - Qualità - D. **Interprète**

Service des Documents **Publications.**



Director Général 100, Avenue Centrale Director - General

Le porteur de cette carte se rend à Florence à l'occasion de la cinquième session de la Conférence Générale de l'Organisation des Nations Unies pour l'Éducation, la Science et la Culture.

Il jouit des privilèges, immunités et facilités reconnus aux fonctionnaires et membres du Secrétariat à cette occasion, du 1^{er} Mai au 30 Juin 1950, par le Gouvernement de la République Italienne. Les autorités administratives et douanières italiennes sont priées de lui accorder aide et protection.

◆

Ilatore delle presente si reca a Firenze in occasione della quinta sessione della Conferenza Generale dell'Organizzazione delle Nazioni Unite per l'Educatione, la Scienza e la Cultura.

In tale occasione egli gode dei privilegi, immunità e facilitazioni riconosciuti dal Governo della Repubblica Italiana ai funzionari e membri del Segretariato dal 1 maggio al 30 giugno 1950. Le autorità amministrative e doganali italiane sono pregate di prestargli aiuto e protezione.

◆

The bearer of this card is proceeding to Florence on the occasion of the Fifth Session of the General Conference of the United Nations Educational, Scientific and Cultural Organisation.

He is to enjoy the privileges, immunities and facilities granted to officials and members of the Secretariat by the Government of Italy for the period 1st May to 30 June 1950. The administrative and customs authorities of Italy are asked to give him their aid and protection.

VISA SPECIAL



Confédération suisse

Valable jusqu'au **30 Juin 1950**

pour un nombre illimité de voyages à l'étranger et retour

N° **UNESCO** Taxe **plus**

Genève, le **17 MAI 1950**

(Autorité cantonale)

CONSOLATO GENERALE D'ITALIA
GINEVRA

*Visto si respianca in 1950
concerno a Kereselidze
Maryam - Valido per
un viaggio in Italia
fino al 30 giugno 1950*

17 MAI 1950


Consolo Generale



ORGANISATION DES NATIONS UNIES
POUR L'ÉDUCATION
LA SCIENCE ET LA CULTURE

ORGANIZZAZIONE DELLE NAZIONI UNITE
PER L'EDUCAZIONE, LA SCIENZA E LA CULTURA

UNITED NATIONS EDUCATIONAL
SCIENTIFIC AND CULTURAL ORGANISATION



CONFÉRENCE GÉNÉRALE
CONFERENZA GENERALE
GENERAL CONFERENCE

**FLORENCE
FIRENZE**

MAI - JUIN 1950
MAGGIO - GIUGNO 1950
MAY - JUNE 1950





მანუელ ჰერერა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან



მანუელ ჰერერა ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან

დასკვნის სახით

მარიამმა თავის თავს „უცხოეთში დაკარგული ქართველი ქალი“ უწოდა. თუ მის ცხოვრებას თვალს გადავავლებთ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. ევროპაში დაბადებული და გაზრდილი მარიამის ქართველ ქალად ჩამოყალიბებაში, დიდი იყო მისი მამის ლეო კერესელიძის წვლილი. ლეო კერესელიძე, სხვა ქართველი ემიგრანტების მსგავსად წლების განმავლობაში სამშობლოს განთავისუფლებისათვის იბრძოდა და თავის ქალიშვილსაც პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა. მარიამს ეროვნული თვითშეგნება სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. უცხოეთში ყოფნა მისთვის ფუჭად განვლილი წლები იყო. არ ხიბლავდა სიმდიდრე და ფუფუნება, სურდა შინაარსიანი ცხოვრება თავის სამშობლოში, თავის ხალხთან ერთად. მზად იყო ემუშავა თუნდაც რიგით მუშად გზის მშენებლობაზე, ოღონდ საქართველოში ეცხოვრა და თავის ქვეყანას გამოდგომოდა. რომ არა ბედის უკუღმართობა, მარიამის ნიჭი და შესაძლებლობები მართლაც გამოადგებოდა საქართველოს.

მარიამი, მისი ბიძის გიორგი კერესელიძის დახასიათებით, ბუნებით ავანტიურისტი იყო. მასში ქალური სინაზე და მამაკაცური სიძლიერე ერთიანდებოდა. მარიამი აღნიშნავდა კიდევ - გონებით მამაკაცი ვარო. ეგუებოდა უმძიმეს პირობებს. არ უშინდებოდა სიძნელეებს, მეომრებს მაგალითს აძლევდა ბრძოლაში, მაგრამ ამავედროულად არ კარგავდა მიმზიდველობას და მუდამ მამაკაცების ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

მარიამი შემწყნარებლობას იჩენდა მტრების მიმართ, რასაც მოწმობს მისი ქმედებები პოლკოვნიკ ფრიდონ წულუკიძესა და საბჭოთა მზვერავ პავლე ჯორჯაძისადმი.

ებრალეობდა უმწეო და ჩაგურული ადამიანები. ის დახმარებას უწევდა პერუში სიდატაკეში მცხოვრებ ადგილობრივ ინდიელებს.

მარიამი, პედაგოგიური მოღვაწეობისა და პოლიტიკური აქტიურობის გარდა, მწერლობისთვისაც იცლდა. მისი პიესები იდგმებოდა პერუს თეატრებში. ოცნებობდა, რომ თავის დრამა „მაიტა“ ქართული თეატრის სცენაზეც ეხილა, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. „მაიტა“ ისევე უგზოუკვლოდ გაქრა, როგორც უმემკვიდრეოდ დარჩენილი მისი ავტორი მარიამ კერესელიძე.

მარიამს სიცოცხლეში სამშობლოს ნახვა არ ედირსა, მაგრამ უკანასკნელი სურვილი მაინც აუსრულა განგებამ - მარიამის ფერფლი ქართულმა მიწამ მიიღო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. წერილი № 1, № 3, № 4, № 6, № 9, № 10, № 11, № 13, № 15, № 17, № 18, № 19, № 20. მარიამ კერესელიძის წერილები, იხ. დანართი „წერილები“.
2. გ. კერესელიძე 15. 07. 1959. - გიორგი კერესელიძის წერილი, იხ. დანართი „წერილები“.
3. ს.ს.უ.ს. ფ. № 6, საარქივო № 51241, საქმე 7249-59. - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, საარქივო სამმართველო, ფონდი № 6, საარქივო № 51241, საქმე 7249-59.
4. Доклад: 1945 – Шаховский - Доклад О результатах прѣбывания в тылу у немцев по заданию НКГБ ГСС Р, гор. Тбилиси 16. 07. 1945. - დოკუმენტიდან წიგნში მოყვანილი ამონარიდები რუსულიდან ქართულად თარგმნა ბესიკ გაფრინდაშვილმა.
5. AAP, Paris, France: - Archives de la prefecture de police. Paris, France. G.A. Carton n 77 W 1984. Dossier n 413 – 630. Kerassilidze Mariam. - დოკუმენტები ფრანგულიდან ქართულად თარგმნა თინათინ მაჭარაშვილმა.
6. ბაქრაძე ლ. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს, თბ, 2010.
6. დაუშვილი რ. ლეო კერესელიძე. ალ. ორბელიანის საზოგადოების II კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ, 1998.
7. დაუშვილი რ. 8 ეპიზოდი ქართულ-გერმანული ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 2014.
8. კალანდია გ. ქართველები I მსოფლიო ომში, თბ, 2014.
9. კერესელიძე ლ. საქართველო უწინარეს ყოვლისა, ნიცა, 1929.

10. მარჯანიშვილი მ. ცნობიერების ნაკადში დანახული სამ-
შობლო, საქართველოს ბიბლიოთეკა, № 4. თბ, 2014.
11. მალაკელიძე შ. მოგონებები. მასალები გამოსაცემად მოამ-
ზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ
რცხილაძემ თბ, 2012.
12. სიხარულიძე გ. გემ სირიუსზე მოგზაურობიდან მოგო-
ნებანი (1908 წელი) - გამოსაცემად მოამზადა, კვლევითი წი-
ნასიტყვაობა და კომენტარები დაურთო დიმიტრი შველიძემ.
თბ, 2017.
13. სულაძე გ. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეც-
სამსახურები. თბ, 2012.
14. შარაძე გ. ამერიკელი ქართველები. თბ, 1992.
15. ჯავახიშვილი ნ. ლატვიელი მხატვარი რომან სუტა საქარ-
თველოში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის
განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და
უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XIX, თბ, 2016.
16. Мамулия Г. Грузинский легион, Тб, 2007.

Handwritten notes in the left margin, including the name "Chas. W. Smith" and other illegible text.

Main body of handwritten text in cursive script, covering the majority of the page.

4
X 436 2025-01-01 2025-01-01 2025-01-01 2025-01-01
26/10/56

Handwritten text in Georgian script, likely a ledger or account book. The text is dense and covers most of the page. On the left side, there is a vertical column of red ink markings, possibly a running total or index. At the bottom of the page, there is a large red horizontal line with some text written below it.

წიგნოცო № 4

ჲქა სუკრანჯ - რ სხუკრანჯ
მძიპრ 2555!

სუკრა რ სუკრა მუკრანჯ
სხუკრანჯ! რ სუკრანჯ 4325
ქვან მუკრანჯ.

რუკრა მუკრანჯ რ სუკრა მუკ
რ მუკრა მუკრანჯ რ სუკრანჯ.

მუკრა მუკრანჯ მუკრანჯ.
325 მუკრანჯ მუკრანჯ.

მუკრა მუკრანჯ მუკრანჯ.

რუკრა მუკრანჯ რ სუკრა მუკ
სუკრანჯ - მძიპრ.

მუკრა მუკრანჯ მძიპრ.
მუკრა მუკრანჯ.


31-12-56

225
 165
 125
 105
 85
 65
 45
 25
 5
 1

165-125=40
 125-105=20
 105-85=20
 85-65=20
 65-45=20
 45-25=20
 25-5=20
 5-1=4

165-125=40
 125-105=20
 105-85=20
 85-65=20
 65-45=20
 45-25=20
 25-5=20
 5-1=4

165-125=40
 125-105=20
 105-85=20
 85-65=20
 65-45=20
 45-25=20
 25-5=20
 5-1=4



CORREO AEREO

Maryam Kereneliyze

Los Incas 190

23-8-57

S-Isidro-Lima (Peru)

Handwritten address details in Georgian script

Vertical handwritten text on the left margin, likely a recipient's name or address.

Main body of handwritten text in Georgian script, containing the letter's content.

habe lsbepmzle ps puyzn-
y... zle dndp d...!!

Felix Navidad

msd eyn bsbns y mid y bgnon

Prospero Año Nuevo

smaym m zn! mjm bsm?
mym smal ... yzn lszsmz
spndnbn? ... d... p... y...
guzna, gubn d... d... d...
z... smal ps d...
d... d... d... d...
znay d... ybnzm l... m...
m... l... d... d...
y... d... d... d...
z... d... d... d...
d... d... d... d...
d... d... d... d...
d... d... d... d...

23



N° 511.

POST TENEBRAS LUX

UNIVERSITÉ DE GENÈVE
SCHOLA GENEVENSIS MDLIX

FACULTÉ DES LETTRES
ÉCOLE D'INTERPRÈTES

DIPLOME

(avec approbation complète)

*de Traducteur d'Interprète parlementaire
pour les langues française, espagnole et italienne.*

NOUS SOUS-SIGNÉS

Madame Maryam Keresselidze,

a suivi les cours pour la préparation au diplôme

de Traducteur d'Interprète parlementaire

et a subi avec succès les épreuves prévues par le règlement
pour l'obtention de ce DIPLOME.

Genève, le 17 mai 1950.

L'ADMINISTRATEUR
DE L'ÉCOLE D'INTERPRÈTES:

A. Velleman

LE DOYEN DE LA FACULTÉ DES LETTRES:

Henri de Slips

LE RECTEUR:

J. Z...

33-11512-13.

Tanger-Riviera

N° 9 — (2^{me} ANNEE)

1^{er} JUIN 1938

Tanger en fête



(D'après un tableau à l'huile du célèbre peintre suédois A. Åkerbladh).

LE RECORD DE Mlle KERESSELIDZE
« TANGER-CASABLANCA A CHEVAL »
EST DE 440 KILOMETRES EN 5 JOURS

Nos confrères de la grande presse quotidienne ont déjà tout dit sur le raid, magnifique et courageux, entrepris par notre jeune collaboratrice, Mlle Maryem Kéressélidzé. Malgré un temps épouvantable, la jeune fille et le cheval « Taté », ont été, par monts et par vaux, sous le vent, la grêle, la pluie diluvienne, admirables de ténacité.

Acclamée et ovationnée tout le long de sa route, tant en zone espagnole qu'en zone française, Mlle Kéressélidzé est arrivée à Casablanca fraîche comme un bouton de rose.

A son retour à Tanger, où elle fut saluée par les dirigeants de l'Office du Tourisme, puis conduite, avec ses parents, à un porto à la Pâtisserie Porte, notre jeune camarade nous charge de remercier en son nom tous ceux qui l'aident dans son entreprise sportive, en particulier M. le Président de l'Office du Tourisme et ses collaborateurs, notre confrère M. Accarias, MM. les Ministres de France et d'Italie, M. le Délégué du Gouvernement de Burgos, M. le Directeur des Douanes, les autorités de la zone espagnole, celles de la zone française, la gendarmerie, en particulier celles d'Arbaoua et de Souk el Arba, M. le Directeur du Service de l'Élevage, la Résidence Générale, les membres de la presse, les clubs hippiques de Casablanca, enfin tous ceux qui en cours de route, puis à l'Exposition de Casablanca, firent un si cordial accueil à elle-même, au Général son père, et à son cheval « Taté », si magnifique de bout en bout.

Le résultat « technique » de l'épreuve, établi par les soins du Club de l'Etrier de Casablanca, par un document graphique délivré à Mlle Kéressélidzé, fixe le record établi par elle à 440 kilomètres en cinq jours.

**

A. RAGNEAU

Médecin-Vétérinaire, Officier de la Légion d'Honneur.
Consultations de 15 à 17 heures et sur rendez-vous.

5, Rue Goya, 2^m étage. — Tél. 1536.

Motoring

GYMKHANA AUTOMOBILE DU 5 JUIN 1938

L'Automobile-Club Marocain organisera, le 5 juin, dans l'après-midi, un Gymkhana automobile, doté de plus de deux mille cinq cents francs de prix.

Cette compétition où les conducteurs et les conductrices pourront montrer leur maîtrise et leur habileté, est appelée à un très grand succès.

Profitant de l'acquis du Gymkhana du 15 août, dernier, l'A.C.M. organise toute une suite de handicaps sur le parcours.

L'épreuve sera des plus attrayantes pour les concurrents et les spectateurs, surtout la habileté de certains des

péripiétés pleines d'incertitude et de gaieté de cette manifestation.

Nous souhaitons à l'A.C.M. d'avoir le plus grand nombre possible d'engagements et nous ne doutons pas que concurrents et spectateurs passeront le 5 juin Place d'Espagne, une excellente après-midi.

**

Dans au Musée de la Casbah

REMIS A M. GILBERT F. BONIS,
Conservateur de la Casbah.

MOIS DE MAI 1938

DON DE MADAME SACAZE

- 1^o Une poterie romaine décorée de dessins et d'inscriptions. Cette poterie a été découverte lorsque furent faites les fondations de la Villa de France. Nous donnerons une description détaillée et une étude de ce don important.
- 2^o Un petit autel domestique romain, en pierre gravée. Même provenance.
- 3^o Une « tobana » ancienne de Fez, du 17^m ou 18^m siècle.

DON DE M. LE CONSUL GRACY

- 1^o Objets funéraires découverts au cours des fouilles d'un double tombeau vraisemblablement phénicien, carthaginois ou romain, à Ras Achakar.
- 2^o Une bague en or massif ornée de gravures.
- 3^o Un collier en métal et différents éléments de bijoux.
- 4^o Un petit phallus en bronze formant élément d'un collier ou d'un pendentif.
- 5^o Un œuf d'autruche votif découvert dans l'un des deux tombeaux.
- 6^o Quatre perles d'ivoire oblongues.
- 7^o Un croissant en métal, vraisemblablement bouclé d'oreille.
- 8^o Un vase funéraire et différents tessons de poteries sigillées provenant des sépultures romaines de Cotta.

DON DU CAPITAINE BEDATON.

Clois romains en bronze, découverts près des remparts de Cotta.

DON DE M. Th. DE CHABOT.

Une canne en bois d'arar, sculptée dans le style riffain, pommeau en argent massif gravé — ayant appartenu à Abdel Krim, cassée par lui en deux quelques instants avant sa reddition.

Docteur ADAMOFF,

Ancien Médecin des Colonies Françaises.
Médecine générale, maladies coloniales.

3, Rue Goffard. — Tél. 13-65. — TANGER

Les sports élégants

Yachting



(Photo Paul Servant).

CALENDRIER DES REGATES 1938

22 mai. — Régates d'ouverture.
 29 mai, 5 et 12 juin. — Régates éliminatoires en vue du choix des barreaux devant prendre part aux régates qui auront lieu avec la participation de Gibraltar.
 19 juin. — Régates inter-club.
 22 juin. — Régates à Gibraltar (1^{re} manche de la coupe challenge).

3, 10 et 17 juillet. — Coupe Brawne-Lindon.
 Mi-juillet. — Régates à Tanger avec Gibraltar (2^e manche).
 7, 14, 21 et 28 août. — Coupe du meilleur barreur.
 17 août. — Régates à Gibraltar (3^{me} manche).
 4, 11, 18 septembre. — Coupe Y.R.C.I.T. (Prix en espèces).

Hippisme



Mlle Maryem Kéessélidzé et son cheval « Taté », qui viennent d'accomplir le raid Tanger - Casablanca en cinq jours.

შინაარსი

რედაქტორისაგან.....	3
მარიამის გზობლები და ნათესავები.....	5
მარიამის ბავშვობა და სიყმაწვილის წლები.....	15
მარიამ კერძნელიძისა და საბჭოთა გზმეჭავის - პავლე ჯორჯაძის შრომეერთობა	31
ომის შემდგომი წლები და მარიამის ბადანახლება პერუში	54
მარიამის ცხოვრების უბანასკნელი წლები და მისი ანდერძი.....	67
დასკვნის სახით.....	74
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა.....	76
დანართი.....	78

რედაქტორი თ. ბოკუჩავა

გადაეცა წარმოებას 20.09.2018. ხელმოწერილია დასაბუჟლად
15.11.2018. ქალაღლის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჟღი თაბახი 8,5.
№2938.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“,
თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent